# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 მარტი, 2009 წელი.

№ 40 (6141)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# „სიტყვით სულ სხვა ხართ, საქმით სხვა“

## სპექტაკლის საზოგადოების ტრაგი-კომედია



5

სპეციალურად იდგმებოდა გრანდიოზული სცენები: გაიხსენეთ, მერიის აივნიდან გადმომდგარი ფიურერი პატრიოტულ-დემოკრატიული იდეებით როგორ მოძღვრავდა მომიტინგეებს.

გაიხსენეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან დაძრული მანქანების ქარავანი, რომლებიც შუქანთებულნი, უწყვეტ ნაკადად უახლოვდებოდნენ ჩაბნელებულ ღამის დედაქალაქს, გაიხსენეთ უნიჭოდ დადგმული ცეკვა „ხორუმი“, პარლამენტის ირგვლივ წრედ შეკრული. გაიხსენეთ, ნარკოტიკებით გაბრუებული ბრბოს პარლამენტში შემოჭრა, გაიხსენეთ მიშას შიშნარევი ჩხავილი: გადადექი, გადადექიო

# 5 მარტი იოსებ სტალინის გარდაცვალების დღეა

ქვეყნდება პირველად



გთავაზობთ საქართველოს გენერალიტეტის მემატიანის ბატონ ლევან დოლიძის მომზადებულ გენერალისიმუსისა და მისი ოჯახის გენეალოგიას

7

## ირაკლი მენაღარიშვილი:

# რუსეთის ოცნება არარეალურია

2



## სოსო ცისკარიშვილი:

# ყველა მოსალოდნელი უბედურების ყველაზე მაღალი რისკი არსებულ ხელისუფლებაშია

3



დღევანდელობა

# ბაზაფხული, მიტინგი და ჩუსული აბჩესია




6

ხელისუფლებიდან დათხოვნილთა თუ ნებაყოფლობით წასულთა რაოდენობა იზრდება. მათი წყალობით ოპოზიციონერთა რიგები ფართოვდება, ფერიცვალების ტემპი ისეთია, ავ თვალს არ ენახვება. მარტო სააკაშვილია დარჩენილი და ისიც, ალბათ, სერიოზულად ემზადება ოპოზიციაში გადასასვლელად.

შევარდნაძის და სააკაშვილის მეოხებით რუსეთი სამართლებრივად ამთავრებს საქართველოს მესამედი ტერიტორიის მითვისებას. ამას არაპირდაპირ ადასტურებს სააკაშვილის მიერ რუსეთისთვის საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გადაცემა

პოზიცია



3

# მაშ, ვინ ყოფილა სამშობლოს მოღალატე?

## აქტუალური ინტერვიუ

**ობამა-მედვედევის ლონდონში დაგეგმილი მოლაპარაკებების სავარაუდო შედეგებზე, საერთაშორისო ასპარეზზე პრეზიდენტ მედვედევის აქტიურობასა და რუსეთის მიერ დასავლეთისთვის ახალი ევროპული კოლექტიური უსაფრთხოების ინიციატივების ბედზე, ასევე იმაზე, რა პირობებზე გაუწვდის ხელს დასავლეთი რუსეთს ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრ ირაკლი მენაღარიშვილის ესაუბრა.**

# ირაკლი მენაღარიშვილი: რუსეთის ოცნება არარეალურია



**— ბატონო ირაკლი, რას შეიძლება ველოდოთ 4 აპრილისთვის ლონდონში დაგეგმილ ობამა-მედვედევის შეხვედრისგან? რუსული პრესა ნიშნის მოგებით აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრის დღის წესრიგი განსაზღვრულია და მასში საქართველოს თემა საერთოდ არ ფიგურირებს...**

— ობამა-მედვედევის შეხვედრის მონაწილეები რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემას გვერდს ვერ აუვლიან. იმის ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ საქართველოს ყველა მტკივნეული პრობლემა ამ შეხვედრაზე მოგვარდება. მიმაჩნია, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრაზე საქართველოს საკითხი, ყველა შემთხვევაში, ორ ლიდერს შორის დაწყებული დიალოგის ერთ-ერთი თემა იქნება. ამერიკის პოზიცია ალბათ ისეთი იქნება, როგორიც ეს მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლისას აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა ხაზგასმით აღნიშნა.

**— მიუხედავად იმისა, რომ ეუთოს ჰელსინკის მინისტერიალზე დასავლეთის ქვეყნებმა ევროპულ უსაფრთხოებაზე კრემლის წინადადებებს მხარი არ დაუჭირეს, მედვედევმა კიდევ ერთხელ შესთავაზა დასავლეთს ევროპული კოლექტიური უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაზე მსჯელობის დაწყება. რას შეიძლება ნიშნავდეს საერთაშორისო არენაზე რუსეთის პრეზიდენტის გააქტიურება?**

— მხოლოდ იმას, რომ მას დღეს არსებული რეალიები არ აწყობს და მიაჩნია, რომ ის შესაცვლელია. სულაც არ არის გამორიცხული დასავლეთის მიერ ამ საკითხის განხილვა, მით უმეტეს, რომ ამ წინადადებას მხარი საფრანგეთის პრეზიდენტმა და ევროკავშირის ყოფილმა პრეზიდენტმა სარკოზიმ დაუჭირა. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსკოვის წინადადებებს გაიზიარებენ. იმ მწირ ინფორმაციაშიც კი, რომელიც ამ იდეების ირგვლივ ვრცელდება, ცხადია, რომ რუსულ ინიციატივაზე თანხმობა მიუღწეველია.

მიზანი კი ძალიან მარტივია, დღეს არსებული კონფიგურაციიდან ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტების წაშლა, როგორიც არის ნატო, ეუთო, ტრანსატლანტიკური კავშირი. გასაგებია, რომ პრინციპი — ამერიკას ევროპაში არაფერი ესაქმება — რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ვარდისფერი ოცნებებია, მაგრამ ეს არარეალურია.

**— თუ დასავლეთმა რუსეთს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში დახმარების ხელი არ გაუწოდა, რუსეთი კრიზისს ვერ დაძლევს, მედვედევი მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის კრემლის გეგმას სთავაზობს. რას ემსახურება მოსკოვის ბაქი-ბუქი და დასავლეთი გაუწვდის თუ არა დახმარების ხელს კრემლს?**

— დასავლეთი რუსეთს დახმარების ხელს ალბათ მაინც გაუწვდის, რადგან რუსეთის კოლაფსი დღეს არავის აწყობს. რაც შეეხება რუსეთის ხმამაღალ განცხადებებს, მე მგონი ეს უკვე აღარავის უნდა უკვირდეს. გახსოვთ, პუტინმა გამოაცხადა, რომ რუსული რუბლი საერთაშორისო ვაჭრობაში შეიძლება გახდეს ისეთივე ბაზისური ვალუტა, როგორც ევრო და დოლარი, მაგრამ რა დაემართა ამის შემდეგ რუსულ რუბლს, ყველამ ნახა. პუტინმა ისიც კი განაცხადა, რომ რუსულ ეკონომიკას ეკონომიკური კრიზისი ვერ შეარყევს, თუმცა, რეალურად რასთან გვაქვს საქმე, ყველასათვის კარგად არის ცნობილი.

საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ამგვარი ქმედება ცუდი თამაშის დროს სახის შენარჩუნების მცდელობაა და მეტი არაფერი. რუსეთს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით დაზარალებული ქვეყნებისთვის რეალურად არაფრის შეთავაზება არ შეუძლია, პირიქით, იგი თვითონ არის სერიოზული დახმარების ობიექტი და თავად არის ყველაზე ღრმა კრიზისში.

**— გასაგებია, დასავლეთი რუსეთს დახმარებას რის გამოც გაუწევს, მაგრამ დახმარების სანაცვლოდ გარკვეულ პირობებს არ წაუყენებს?**

— ვნახოთ, აშშ-სა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან რუსეთის მიმართ მოთხოვნები სრულიად კონკრეტულია. ამის დასტური იყო მიუნხენში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის გამოსვლა. ის, რომ რუსეთში შიდა დემოკრატიული განვითარება მწვავედ მიმდინარეობს და რუსეთის მიერ არჩეული განვითარების გზა დასავლეთს აშფოთებს, ცხადია. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი დახმარებას გარკვეული პირობებით მიიღებს.

**კობა ბენდელიანი**

## აქცია

# ეკა ბესელია: საპროტესტო აქცია ერთადერთი მოთხოვნით დაიწყება — გადადგეს სააკაშვილი!

### რას აპირებს ოპოზიცია 9 აპრილს?

**„9 აპრილს, პარლამენტის წინ სადღეღამისო, უვადო საპროტესტო აქცია დაიწყება და საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოცხადდება. აქცია გაგრძელდება მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის დაუყოვნებლივ და უპირობო გადადგომამდე, რის შემდეგაც საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება“, — ეს არის ამონარიდი გასული წლის 7 ნოემბერს პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე დარიგებული ბუკლეტებიდან, რომელიც მაშინ იქ მისული ადამიანების უმეტესობამ არასერიოზულ განცხადებად შეაფასა. ამბობდნენ, ბრძოლის ფორმა გრძელვადიანიაო და ოპოზიციისაგან უფრო სწრაფ და ქმედით ნაბიჯებს ითხოვდნენ.**

**9 აპრილამდე თვეზე ცოტა მეტი დარჩა და ოპოზიციამაც აქტიური და ხმაურიანი მზადება დაიწყო. პოლიტიკური აქციის „ერთად გადავარჩინოთ საქართველო“ ორგანიზატორი პარტიები არიან: დემოკრატიული მოძრაობა — „ერთიანი საქართველო“, „თავისუფლება“, კონსერვატიული პარტია, მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „საქართველოს გზა“, ტრადიციონალისტთა კავშირი, ქალთა პარტია, ხალხის პარტია.**

**გუშინ ყველა მეტროსადგურის წინ ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. მეტრო „რუსთაველთან“ „ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ეკა ბესელია იყო გამოსული:**

— ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია, მასში მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს. 9 აპრილი — ეს არ არის პოლიტიკური პარტიების ექსკლუზიური უფლება, არამედ ეს არის საერთო სახალხო მოძრაობის მთავარი ამოცანა. საპროტესტო ტალღა მხოლოდ ერთადერთი მოთხოვნით დაიწყება — გადადგეს სააკაშვილი! რამდენი დღეც და კვირაც არ უნდა დასჭირდეს ამ ბრძოლას, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ეს არის ჩვენი ამოცანა.

**— ხელმოწერების შეგროვება რატომ გახდა საჭირო?**

— იმისთვის, რომ დავინახოთ, საზოგადოების რა ნაწილი გვიჭერს მხარს. ამავე დროს ეს ემსახურება მოსახლეობის ინფორმირებას. ყველა მეტროსთან პოლიტიკური ლიდერები დგანან, რომლებიც მოსახლეობის კითხვებს უპასუხებენ. — რას ვაპირებთ 9 აპრილს?



**— რას აპირებთ 9 აპრილს?**

— ვიწყებთ უკომპრომისო ბრძოლას, გავდივართ ქუჩაში სააკაშვილის გადასაყენებლად. პროცესი უნდა დასრულდეს კონსტიტუციური გზით სააკაშვილის გადაყენებით.

**— რეგიონებში თუ მიდის მზადება აქციისთვის?**

— 9 აპრილამდე ყველა დიდ ქალაქში ჩავალთ, ხოლო ორი კვირით ადრე საერთო სახალხო მოძრაობა დაიწყება. ეს შეიძლება იყოს აქციები, მანიფესტაციები, ფეხით წამოსვლა თუ სხვა.

ამ ერთ თვეში, ყოველი დღე მკაცრად გვაქვს გაწერილი, ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, ყოველი დღე რაღაც ღონისძიება არის დაგეგმილი.

**— ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ხომ არ დაგიზუსტებიათ რამე?**

— ის ჩამოვა სააკაშვილის წასვლამდე. ირაკლიმ მონაწილეობა უნდა მიიღოს მის წასვლაში. იცის, რომ საფრთხე ემუქრება, მაგრამ ის, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, პოლიტიკაშიც არ უნდა იყოს. მას საკუთარ უსაფრთხოებაზე რომ ეფიქრა, მაშინ 2007 წლის 25 სექტემბერსაც არ გააკეთებდა მკვეთრ განცხადებას.

**— მიმართეთ მერიას აქციის თაობაზე?**

— მერიას არ სჭირდება გაფრთხილება. ეს იქნება აბსოლუტურად ლეგიტიმური აქცია, რომელიც ქუჩის მოძრაობას არ შეაფერხებს.

ესაუბრა
**თეა მოსია**

## მოვლენა

# ხუთი წლის „გოლიათი“

**პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ 3 მარტს კიდევ ერთხელ მონუსხა მთელი საქართველო. ფონდის 5 წლის იუბილეზე, სამი საათის განმავლობაში „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში რომ გადაიცემოდა, სიმღერითა და ცეკვით, სიტყვით და ლექსით, ქართველ და უცხოელ ხელოვანთა საოცარი შემოქმედებითი ურთიერთობის ამსახველი ძველი და ახალი მაგალითებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამ „შეშლილ“ მსოფლიოში, მეტადრე — საქართველოში, მთავარზე მთავარი კაცთმოყვარეობა, ურთიერთპატივისცემა, მიტევება, გაჭირვებულთა თანადგომა და სულგრძელობა გახლავთ.**



**ყველაფერი ეს იმ საღამოს „იავნანას“ ქველმოქმედებამ გააერთიანა და მარტოოდენ ერთ საღამოს ფონდმა 155.000-ზე მეტი ლარი, გარკვეული რაოდენობის უცხოური ვალუტა, სოლიდური საჩუქრები და... საბურთალოს რაიონში ერთი კონკრეტული ბინაც უშურველად დაიმსახურა.**

**შემოსული თანხის დიდი ნაწილი სამი ოჯახის დაბინავებას მოხმარდება. ღარიბი და მზრუნველობასმოკლებული სიფრაშვილების, წიტაიშვილების და კვარაცხელიების ოჯახები საკუთარ ჭერქვეშ დაიდებენ ბინას.**

**პაატა ბურჭულაძემ, როცა მეუფე დანიელისგან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სამადლობელი წერილი მოისმინა, ყველას გასაგონად განაცხადა: უწმინდესო და უნეტარესო! — მე ვიცი თქვენ ახლა ტელევიზიით ადევნებთ თვალს ჩვენს საქველმოქმედო საღამოს... გმადლობთ, რომ არსებობთ. საქართველოში ჩამოსვლა იმიტომ მიხარია, რომ აქ მეგულება მშობელი დედა და მეგულებით თქვენ!**

**„იავნანამ“ დააარსა სპეციალური პრიზი ფონდის ყველაზე დიდი მეგობრებისთვის... პირველი პრიზი უწმინდესმა და უნეტარესმა დაიმსახურა, მეორე — ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდამ სოფიკო ჭიაურელმა, მესამე — მსოფლიოში აღიარებულმა ტენორმა, „იავნანას“ გამორჩეულმა ამერიკელმა მეგობარმა მიშელ კრაიდერმა...**

**„იავნანას“ 5 წლისთავისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტის და ტელე-მარათონის პუბლიცისტური ანალიზი მომავლის საქმეა. კიდევ კარგი, რომ პირდაპირი რეპორტაჟი მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა.**

**„იავნანას“ სიკეთით სავსე სიცოცხლე გრძელდება. ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა ხშირად ავკრიფოთ 30-30 და ჩვენი მცირედი წვლილი შევიტანოთ ობოლი და მზრუნველობას მოკლებული ბავშვების გადარჩენაში. დავუბრუნოთ ისინი ოჯახებს და აღვზარდოთ სრულფასოვან მოქალაქეებად.**

**სპარტაკ ქობულია**

განსჯა

*საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა ისევ ცხელდება. ოპოზიცია კვლავ აქციებისთვის ემზადება. 9 აპრილიდან დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე მოძრაობა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, სავარაუდოდ, კვლავ გადაიკეტება, თუმცა ის ალბათ, წესრიგის მოყვარული დედაქალაქის მერის „ძალისხმევით“ ისევ „გაიწმინდება“. ერთი სიტყვით, პოლიტოლოგები და ექსპერტები აპრილში „ნოემბრის“ სცენარის განმეორებას ვარაუდობენ, სცენარის იმავე ავტორებისა და შემსრულებლების მიერ... იგივე შედეგებით...*

*რამდენად შეძლებს პოლიტიკური უმცირესობა ხელისუფლებასთან რამდენჯერმე წაგებული პოლიტიკური ორთაბრძოლის შემდეგ ამჯერად მაინც გამარჯვებას? მიბაძავს, თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი მის წინამორბედს „მემუარების წერაშიც“, და რამდენად აძლევს ხელს საქართველოს შიდაპოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირება მორიგი აგრესიის დასაწყებად რუსეთს? ამ საკითხებზე „ჯი-ეიჩ-ენი“ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.*



# სოსო ცისკარიშვილი: ყველა მოსალოდნელი უბედურების ყველაზე მაღალი რისკი არსებულ ხელისუფლებაშია

**— ბატონო სოსო, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ჩვენი პოლიტიკური უმცირესობის სწორედ იმ ფონზე გააქტიურება, როდესაც ლაპარაკია, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ, შესაძლოა, მორიგი აგრესია განახორციელოს. ასეთ დროს ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით ქუჩაში გამოსვლა, ხომ არ გამოიწვევს ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას?**

— ვფიქრობ, ახლა, ოპოზიციის გააქტიურებისთვის სწორედ შესაფერისი დროა. ჩვენი პოლიტიკური უმცირესობა არსებული საფრთხეების თავიდან აცილებისთვის ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელ ადეკვატურ ქმედებებს რომ ხედავდეს, თვითონაც მშვიდად იქნებოდა და საზოგადოებაც. ოპოზიციის გააქტიურება ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ყველა მოსალოდნელი უბედურების ყველაზე მაღალი რისკი სწორედ არსებულ ხელისუფლებაშია.

**— 9 აპრილს, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ოპოზიცია თავის მომხრეებთან ერთად პარლამენტის წინ მორიგი საპროტესტო ტალღის დაწყებას გეგმავს. რამდენად მოსალოდნელია, აქციის 7 ნოემბრის სცენარით დაშლა?**

— ამის ალბათობა მეტია, ვიდრე 2003 წლის 23 ნოემბრის სცენარის განმეორება.

**— ანუ, ფიქრობთ, რომ სააკაშვილი მისი წინამორბედისგან განსხვავებით, პოლიტიკიდან „სახლში“ არ წავა?**

— ეს მხოლოდ მის გონიერებაზეა დამოკიდებული, თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ამჟამად კეთილგონიერება გაიმარჯვებს. არც ის მგონია, რომ საზოგადოების მხრიდან „ვარდების რევოლუციის“ სცენარით ან არაკონსტიტუციური გზით მოქმედების მცდელობა წარმატებული აღმოჩნდეს. ასე აღარ მოხდება, რადგან თუ ხელისუფლებას დასჭირდა, 7 ნოემბრის სცენარს გაათმაგებული ძალით გაიმეორებს.

**— პოლიტიკური უმცირესობა ერთიან გეგმაზე ვერ თანხმდება. ოპოზიციური სპექტრის ერთ ნაწილს სააკაშვილის შეცვლის ყველაზე რეალურ გზად რეფერენდუმის ჩატარება მიაჩნია, მეორე ნაწილი კი კვლავ ქუჩის აქციებში ხედავს გამოსავალს. როგორ ფიქრობთ, რომელი გზაა უკეთესი და საერთოდ, რატომ ვერ თანხმდება პოლიტიკური უმცირესობა ერთიან სტრატეგიაზე?**

— მგონი, პოლიტიკური უმცირესობა ერთიან გეგმაზე, რასაც ჰქვია ხელისუფლების შეცვლა და ამ ცვლილების პრეზიდენტის გადადგომით დაწყება, სრულიად მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად არის შეთანხმებული. სტრატეგია სწორედ ეს გახლავთ. ხოლო ის, რომ სხვადასხვა ოპოზიციურ ძალას მიზნის მიღწევის განსხვავებული ტაქტიკა აქვს, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და სხვათა შორის, კარგიცაა, რადგან ასეთ დროს პოლიტიკური მენიუ უფრო მრავალფეროვანია და მისი შეთავაზება თითქმის ყველა პოლიტიკური გემოვნების ხალხისთვის შეიძლება.

**— რომელი პოლიტიკური ძალა წარმოგიდგენიათ ქვეყნის სათავეში?**

— ამ ეტაპზე თითქმის ყველა პოლიტიკური გაერთიანების ბრძოლის სასტარტო პირობები თანაბარია, შესაბამისად, ახლა ძნელია იმის თქმა, თუ ვინ იქნება სააკაშვილის ხელისუფლების ღირსეული შემცვლელი. ეს ბოლო თვენახევარ, ორ თვეში უნდა გამოჩნდეს.

**— ეს რისი ვადაა?**

— იმის, რომ პოლიტიკურმა ძალებმა საზოგადოების ნდობა მოიპოვოს. ეს არის ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ყველა ოპოზიციურმა გაერთიანებამ, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის ამბიცია აქვს, თავისი საქმიანობის ისე გააქტიურება შეძლოს, რომ ხალხმა მისი დაიჯეროს. დროა ოპოზიციონერები თბილი კაბინეტებიდან გამოვიდნენ, ხალხში გავიდნენ, მათი პრობლემები და აზრი მოისმინონ და ამის შესაბამისად მიაღწიონ რაღაც შედეგს. მაგალითად, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას.

**— არსებული საარჩევნო კანონმდებლობის პირობებში შესაძლებელია არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება?**

— არა. ხელისუფლებას უნდა შევთავაზონ არჩევნების დანიშვნა საარჩევნო კოდექსის ადმინისტრირებასა და ამომრჩეველთა სიების სერიოზულ გადახალისებასთან ერთად, რათა სიებიდან ერთხელ და სამუდამოდ ამოიყაროს წლების წინ გარდაცვლილი მოქალაქეების სახელები და გვარები.

**— რაც შეეხება პრეზიდენტობის პოტენციურ კანდიდატებს. ამ ეტაპზე სააკაშვილის შემცვლელად საკუთარ თავს ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი, ირაკლი ალასანია და სავარაუდოდ ზურაბ ნოღაიდელი ხედავენ. რა შანსები აქვთ მათ თქვენი აზრით?**

— ვერ გეტყვით. მე პრეზიდენტობის არც ერთ ამ შესაძლო კანდიდატს არ ვიცნობ. არც ერთი მათგანის გამოსვლა არ მომისმენია. ერთადერთი რაც შემიძლია ამ ეტაპზე გითხრათ, ის არის, რომ ნოღაიდელს გაპრეზიდენტების არანაირი შანსი არ აქვს. ნოღიდელი და მისი გაპრეზიდენტების შანსი ჩემთვის შეუთავსებელი ცნებებია.



**— თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს. ამასთან, საზოგადოებაში საპროტესტო ტალღის გაძლიერების მიზნით, ოქრუაშვილი, შესაძლოა, თბილისშიც ჩამოვიდეს, სადაც მას დაპატიმრების რეალური საფრთხე ემუქრება. როგორ ფიქრობთ, ოქრუაშვილის ფაქტორის გამოყენება სამიტინგოდ განწყობილ პოლიტიკურ უმცირესობას მიზნის მიღწევას გაუადვილებს?**

— ხელისუფლების შეცვლის პროცესში ეს იქნება საინტერესო, მაგრამ არა გადამწყვეტი ელემენტი. თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში ოქრუაშვილის შესაძლო დაპატიმრებას ნამდვილად მოჰყვება მოვლენათა სენსაციური სცენარით განვითარების მოყვარული ქართველი ხალხის საპროტესტო მუხტის ზრდა, მაგრამ მეტი არაფერი.

ისე, ვფიქრობ, საზოგადოებამ დროა, მტყუან-მართალის ერთმანეთისგან გარჩევა ისწავლოს და მხოლოდ მოვლენათა სენსაციური სცენარით განვითარებით არ იყოს დაინტერესებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაზე ცუდ დღეში თავად საზოგადოება აღმოჩნდება.

ესაუბრა
**ლელა გაღლამაძე**

პოზიცია

# მაშ, ვინ ყოფილა სამშობლოს მოღალატე?

## ნომრის სტუმარია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიძინა სავანელი



**— 9 აპრილს დაგეგმილ აქციებთან მიმართებაში ხელისუფლების თავკაცებიდან ოპოზიციის მისამართით ხშირად გაისმის ბრალდება: ისინი რუსეთის აგენტები არიან. რამდენად დასაბუთებულია ასეთი ბრალდება?**

— თქვენი შეკითხვის პასუხად გამოვიყენებ ცნობილ გამოთქმას: „თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა“.

7 აგვისტოს შემდეგ გაჩნდა სააკაშვილის ხელისუფლებიდან გადადგომის და პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების უდავო კონსტიტუციური საფუძველი.

შევახსენებთ პრეზიდენტის გადადგომის მთავარ მიზეზს გასული წლის ნოემბერში. რატომ გადადგა მაშინ პრეზიდენტის პოსტიდან სააკაშვილი? არა იმიტომ, რომ ხალხმა ეს მოითხოვა, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიოს ყველა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციამ და დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა თითქმის ყველა მთავრობამ ერთხმად და მკვეთრად დაგმო ხელისუფლების მიერ წინასწარი გაფრთხილების გარეშე და საგანგებო მდგომარეობის გამოუცხადებლად პარლამენტის კიბეებზე მოშიმშილეთა, რიყეზე მშვიდობიანი მომიტინგეების და „ტელეიმედის“ დარბევა. ამ დროს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაულები გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154 და 161 მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს პატიმრობას. ამ თვალსაზრისით გადაგომა სრულიად სწორი იყო. მაგრამ, გადადგომა სამართლებრივად ნიშნავდა ბრალის აღიარებასაც, რადგან გადადგომით მან დაადასტურა, რომ დარბევის ბრძანების გამცემი ის იყო, რის გამოც ყოფილ პრეზიდენტს უფლება არ ჰქონდა თავისი კანდიდატურა ხელმეორედ წარედგინა პრეზიდენტის პოსტზე. ის, როგორც მოქალაქე, დანაშაულში ბრალის აღიარებით დაუყოვნებლივ უნდა წამდგარიყო სასამართლოს წინაშე, და რადგან ეს მან არ გააკეთა, ბურჯანაძე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ვალდებული იყო მიემართა პროკურატურისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით. ბურჯანაძემ, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, არ შეასრულა თავისი კონსტიტუციური მოვალეობა, რითაც დაფარა სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულები, ანუ ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება. უფრო მეტი: მან როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების პირველმა პირმა, გაამართლა სააკაშვილის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154 და 161 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, რაც ასევე სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა.

მით უფრო მეტი კანონიერი საფუძველი არსებობს სააკაშვილის გადასაყენებლად და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამშვიდობო ზონაში მისი ბრძანებით დაიბომბა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ცხინვალში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობა და მათი სახლები, აგრეთვე განადგურდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ნაწილი. ეს უკვე საერთაშორისო დანაშაულის — გენოციდის და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დანაშაულებრივი დარღვევის ნიშნების მატარებელი ქმედებაა, რაც საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის განხილვას ექვემდებარება.

იხ. 4 გვ.

დევნილები

***2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დევნილად იქცნენ არა მარტო შიდა ქართლისა და კოდორის ხეობის მცხოვრებნი, არამედ ის არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც იქ მოღვაწეობდნენ. ახლა მათი საზრუნავი და საფიქრალია დევნილთა მხარდაჭერა და მათი პრობლემების მოგვარება. სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების — „ბილიკის“, „ქართლოსის“, „გზა ნათელის“, ქალთა სათემო მოძრაობა „ნიქოზის“, ცხინვალის რეგიონალური განვითარების სააგენტოს და სხვა ჯგუფების გაერთიანებით დაარსდა კოალიცია „დევნილთა უფლებებისთვის“, რომელთაც ოფისები აქვთ თბილისსა და გორში.***

***დაარსების დღიდან კოალიციას არ შეუწყვეტია მუშაობა იძულებით გადაადგილებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის. ამიტომაც ორგანიზაციის ორივე ოფისში არ წყდება დევნილთა ნაკადი, რომელნიც სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად დახმარებას ითხოვენ. პრობლემები კი შეეხება ჯანდაცვის, განათლების სფეროებს, მათი დროებითი განსახლების საკითხებს ...***



***კოალიციის პროექტს, რომელიც დევნილთა უფლებების დაცვას და მათი დახმარების პროცესის მონიტორინგს ითვალისწინებს, ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ აფინანსებს.***

***კოალიციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ გვესაუბრება პროექტის დირექტორი ნატო ჩუბინიძე:***

# აღმართში დაწეული ქვა

## პრობლემები საბანკო სექტორთან, ჯანდაცვის, განათლების სფეროებში, უმუშევრობა - დილემები, რომელთა წინაშეც დგანან რუსეთის აგრესიის მსხვერპლნი

— ჩვენ თავიდანვე აღვნიშნავდით, რომ სახელმწიფომ დიდი მუშაობა გასწია დევნილთა განსახლებისა და მათთვის დროებითი საცხოვრებლების აშენებისთვის. თუმცა, ჩვენი მუშაობის პროცესში გამოიკვეთა საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც დღეისთვის დევნილთა წინაშე დგას და რომლებიც, თუკი ახლავე არ მოგვარდა, მომავალში კიდევ უფრო მწვავედ დადგება. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა მათთვის სტატუსის მინიჭების საკითხი, რომლის გადაწყვეტაც აქამდე რატომღაც ვერ მოხერხდა. კოალიციას ჰქონდა საშუალება, შექმნილიყო პრეცედენტი და განცხადების საფუძველზე, კანონის “დევნილთა შესახებ“ შესაბამისად, დაზარალებულ პირებს მინიჭებოდათ დევნილის სტატუსი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, თუ შეიძლება ითქვას, საკმაოდ არაარგუმენტებული პასუხი გაგვცა, რომ მათ არა აქვთ ასეთი განცხადების მიღების უფლება, რადგან სამინისტრო უკვე მუშაობს და მალე პრესისა და ტელევიზიის საშუალებით საჯაროდ გამოაცხადებენ ინფორმაციას იძულებით ადგილნაცვალი პირებისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ.

მეორე პრობლემა არის ის, რომ კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ფულადი კომპენსაციის მიღების შემდეგ სხვადასხვა სექტორში განსახლდნენ, სახელმწიფო ყველანაირ დახმარებას უხსნის, რაც არასწორია, რადგან ჩვენ გვაქვს გასული წლების დიდი გამოცდილება, როცა კერძო სექტორში განსახლებული დევნილები თავს გრძნობდნენ აბსოლუტურად მივიწყებულად და მათზე არ ხორციელდებოდა იგივე შეღავათები და კომპენსაციები, რაც იმ დევნილებზე, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობდნენ. ვგულისხმობ 1991-1992 წლებში ცხინვალიდან და აფხაზეთიდან დევნილებს. აქედან გამომდინარე, იგივე რომ არ განმეორდეს, ვთვლი, რომ უნდა მოხდეს მოსახლეობის ამ ნაწილის კოორდინაცია, შეიქმნას რაღაც მექანიზმი სახელმწიფო დონეზე, რომ ეს ადამიანები არ აღმოჩნდნენ იმ მდგომარეობაში, რაშიც აღმოჩნდნენ ძველი დევნილები.

**— არის თუ არა დასაქმების და სხვაგვარი პრობლემები ახალგაზრდებში? კოალიციის კოორდინატორები რეგიონებშიც მუშაობენ და როგორი მდგომარეობაა ადგილებზე?**

— დიახ, უმუშევრობისა და დევნილთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი დღემდე მოუგვარებელია. ამ პრობლემებს ვაწყდებით ყოველდღიურ მუშაობაში. სახელმწიფოს ამ მხრივ კვლავ ბევრი აქვს გასაკეთებელი. ჩვენი კოორდინატორები დადიან ჩასახლების ადგილებში და ყველგან აწუხებთ ეს პრობლემა. ვცდილობთ გამოვკვეთოთ კონკრეტული საკითხები, რომლებიც სასწრაფოდ არის გადასაჭრელი. მაგრამ საჭიროა გრძელვადიან პერსპექტივაში იყოს გამოკვეთილი სახელმწიფო პოლიტიკა ამ აუცილებელი პრობლემების მოსაგვარებლად.

**— კონკრეტულად, რა საკითხებზე გიწევთ მუშაობა უახლოესი პერიოდის განმავლობაში?**

— არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ოპერატიულ ორგანიზაციულ მიდგომას საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან. მაგალითად, ძალიან ბევრ კომპაქტური ჩასახლების ადგილში მოსწავლეებს უჭირთ სკოლაში სიარული იმის გამო, რომ სკოლა რამდენიმე კილომეტრზეა მათი საცხოვრისიდან. პატარები კი ფეხით ვერ დადიან. ამიტომ აუცილებელია სასკოლო ავტობუსების დანიშვნა. ასეთი მდგომარეობაა წილკანში, ბაზალეთში. ამ საკითხებზე ინფორმაცია კოალიციამ მიაწოდა გაეროს ბავშვთა ფონდის - იუნისეფის წარმომადგენლებს, მათ კი აღგვითქვეს, რომ საკითხს დასვამენ საქართველოს განათლების სამინისტროს წინაშე და ამ პრობლემას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად უახლოეს პერიოდში გადაწყვეტენ.

**— ძალიან ბევრ ადამიანს ჯანმრთელობა შეერყა თავს დატეხილი ტრაგედიის მერე. არსებობს თუ არა სახელმწიფო პროგრამა მათ დასახმარებლად?**

— ჩვენ სხვადასხვა პრობლემაზე გვიწევს მუშაობა და, რასაკვირველია, სოციალური საკითხები მათგან პირველ ადგილზეა, ელემენტარული პრობლემების მოგვარება მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან თავიდან მოუწიათ ცხოვრების დაწყება. უკვე ბევრ მათგანს დავეხმარეთ და ვუშუამდგომლეთ შესაბამის სტრუქტურებთან პრობლემების მოსაგვარებლად. უახლოეს პერიოდში ვაპირებთ, შევიმუშაოთ რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურებისთვის იმ საკითხებზე, რომლებიც მუშაობის პერიოდში დაგვიგროვდა. აგვისტოს ომის შემდეგ პირველი ორი თვის განმავლობაში დევნილებისთვის ჯანდაცვა უფასო იყო, მაგრამ ამჟამად ეს პროგრამა შეწყვეტილია და ბევრი ადამიანი საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა.

**— როგორც ცნობილია, დევნილებს პრობლემა საბანკო სექტორთანაც შეექმნათ, რადგან მცირე სესხები ჰქონდათ აღებული და ომის შედეგად სამსახურის დაკარგვის შემდეგ აღარ შეუძლიათ განვადების თანხების დაფარვა. ამ მხრივ თუ გიცდიათ მათი დახმარება?**

— დევნილებს მართლაც სერიოზული პრობლემები აქვთ ბანკებთან, რადგან მათ ერიცხებათ საპროცენტო გადასახადი იმ განვადებებსა და მცირე კრედიტებზე, რომლებიც აგვისტოს ომამდე ჰქონდათ აღებული. უმრავლეს შემთხვევაში ესენი უფრო სამომხმარებლო სესხებია, რომლებიც მათთვის ამ გასაჭირის დროს საკმაოდ მძიმე ტვირთად იქცა, რასაც მოწმობს ის მრავალი განცხადება თუ სატელეფონო ზარი, რომლითაც დაზარალებული ადამიანები მოგვმართავენ. უახლოეს მომავალში გამოვითხოვთ ინფორმაციებს ბანკებიდან და მივმართავთ შესაბამის სამსახურებს მათთვის შეღავათის დასაწესებლად, რათა საპროცენტო გადასახადისგან მაინც გაათავისუფლონ ისინი. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში აუცილებელია პარლამენტის მონაწილეობა.

კოალიცია ყველაფერს ილონებს იმისათვის, რომ შეჭირვებულ თანამოძმეებს ცხოვრება შეუმსუბუქოს.

**ლია ჭიღლაძე**

პოზიცია

# მაშ, ვინ ყოფილა სამშობლოს მოღალატე?

(მესამე გვერდიდან)

ამავე ტრიბუნალმა უნდა განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონის გარეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების არაპროპორციული ქმედებაც, რაც გამოიხატა მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებაში და სამხედრო ობიექტების დაბომბვაში, და უფრო მეტი, სამაჩაბლოში და კოდორის ხეობაში მცხოვრები ქართველების ეთნიკურ წმენდაში, რაც ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის განხილვას ექვემდებარება, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

**— განა შეიძლება რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე იურე აღიარება ბრალად შეერაცხოს სააკაშვილს?**

— შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არსებობს ბრალეული მიზეზობრივი კავშირი სააკაშვილის ბრძანებით ცხინვალში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის და მათი სახლების, აგრეთვე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ნაწილის განადგურებასა და რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე იურე აღიარებას შორის.

სამწუხაროდ, ქართველ ერს დღემდე არ გაუაზრებია, თუ რა უბედურებას გადაგვყარა სააკაშვილმა. თუ შევარდნაძის „წყალობით“ გაეროს წესდების და პრაქტიკის დარღვევით იმპერიალისტური რუსეთისთვის სამშვიდობოების მანდატის გადაცემით საქართველომ დე ფაქტოდ დაკარგა სოხუმის და ცხინვალის რეგიონები, სააკაშვილის მიერ ცხინვალის რეგიონში გაეროს წესდებით და ჰუმანიტარული სამართლით აკრძალული განზრახ სამხედრო აგრესიის შედეგად, ამ ორ სივრცეს ქართველი ერი დე იურედ კარგავს. ამრიგად, შევარდნაძის და სააკაშვილის მეოხებით რუსეთი სამართლებრივად ამთავრებს საქართველოს მესამედი ტერიტორიის მითვისებას. ამას არაპირდაპირ ადასტურებს სააკაშვილის მიერ რუსეთისთვის საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გადაცემა (ის სიტყვით რუსეთს ლანძღავს, საქმით კი მას ემსახურება“.

შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **შევარდნაძემ დე ფაქტოდ დაუთმო, ხოლო სააკაშვილმა დე იურედ „გაუფორმა“ აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთს.** ეს ქმედება კი სავარაუდოდ ერის წინაშე უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულია, ვიდრე 7 ნოემბერს, 5 იანვარს და 21 მაისს ჩადენილი დანაშაულები, რომ არაფერი ვთქვათ ადრე ჩადენილ სხვა მძიმე დანაშაულებზე.



**— ბატონო ბიძინა, სააკაშვილის მიერ რუსეთისთვის საქართველოს სტრატეგიული ობიექტების გადაცემას, რა იურიდიულ კვალიფიკაციას მისცემდით?**

— საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის ძალით: „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებულ **გამგებლობას** მიეკუთვნება: ... ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები და აეროპორტები, ტერიტორიული წყლები, თევზჭერა ტერიტორიულ წყლებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა, მიწა, წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები...“.

განმარტავ: „გამგებლობა“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (და არამარტო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ თანახმად ნიშნავს „მართვას“ და არა „საკუთრებას“. სხვა სიტყვებით, კონსტიტუციაში ჩამოთვლილი ობიექტები არა საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოების, არამედ საქართველოს, ანუ ქართველი ხალხის საკუთრებაა, და ეს ობიექტები მას გადაცემული აქვს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებისთვის **სამართავად(!),** და არა საკუთრებაში. უფრო მეტი, კონსტიტუციის თანახმად ხელისუფლებას სხვა სუბიექტისთვის მართვის უფლების გადაცემაც კი ეკრძალება.

თითოეულმა ქართველმა უნდა გაითავისოს, რომ ის არის საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყველა სტრატეგიული ობიექტის საკუთრების მოწილე, ხოლო ხელისუფლება არის ამ ობიექტების მომსახურე!!! აქაც არსებობს საფუძველი ვივარაუდოდ სააკაშვილის მიერ სამშობლოს ღალატის ჩადენა.

**— სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით სად არის სამართლებრივი გამოსავალი?**

— ადრე გასხვისებული სტრატეგიული ობიექტების დასაბრუნებლად და გასასხვისებლად გამზადებული ობიექტების გასხვისების აღკვეთის მიზნით, სასწრაფოდ უნდა აღიძრას სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც, სხვათა შორის, ბათუმში განზრახ გადამალეს, რადგან მისი პერსონალური შემადგენლობა არსებითად ვერ შეცვალეს. შედეგმაც არ დააყოვნა: საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელები არ შედის და მოსამართლეები ფაქტობრივად დაუსაქმებელი არიან.

ხმა ერის გასაგონად

# „სიტყვით სულ სხვა ხართ, საქმით სხვა“

## სპექტაკლის საზოგადოების ტრაგი-კომედია

**ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი ცხოველი, ნებისით თუ უნებლიეთ, მოქცეულა მორალურ-ეთიკურ ჩარჩოებში, რაც ზღუდავს მის თავისუფლებას და იწვევს გაუცნობიერებელ პროტესტს, რომელიც სოციალურ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ უსამართლობათა გამო დროთა განმავლობაში გაცხადებულ და მკვეთრ ხასიათს იძენს. ამიტომაც ის არსებულ რეალობას ბრძოლას უცხადებს სხვადასხვა ფორმით და საშუალებით: კალმით, სიტყვით, მიტინგებით თუ, ასე განსაჯეთ, „პასიური პროტესტით“... ეს უკანასკნელი კი ძველთაძველი რამ ვლინდება ადამიანის სწრაფვით, დაივიწყოს სინამდვილე, შექმნას ილუზიური, ვირტუალური სამყარო, სადაც თავს ნეტარად იგრძნობს. სწორედ ამის გამო აჯობინებს სანახაობის, სპექტაკლის ხილვას, ვიდრე გაუსაძლისი სინამდვილის შეცნობას...**

ადამის მოდგმის ეს ნიშანდობლიობა ოდითგანვე იჩენდა თავს. მაგრამ ბოლო ჟამს ფსიქოლოგებმა და პოლიტიკოსებმა (მაგალითად ბჟეზინსკიმ) „ელექტრონიკულ“ პოსტმოდერნისტული საზოგადოების ერთობ საინტერესო თავისებურება: იგი მიდრეკილია საერთო მასობრივი სანახაობისკენ, რაც არის ერთგვარი ნარკოტიკული საშუალება, რომლის მეშვეობითაც ის ივიწყებს თავის ტრაგიკულ ყოფას. სწორედ ამ ფსიქოლოგიური დონის და კიდევ რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით „ადამიანის სულის ინჟინრებმა“ ის მოახერხეს, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიით, განსაკუთრებით კი ელექტრონული საშუალებით, პოსტმოდერნისტული საზოგადოება მთლიანად „სპექტაკლის საზოგადოებად“ გარდაქმნეს.

აზრი იმის თაობაზე, რომ ცხოვრება წარმოდგენაა, ადამიანები კი წილნამორგებული მსახიობები, საკმაოდ გავრცელებული იყო გარდასულ საუკუნეებში. ჯერ კიდევ პლატონი გვარწმუნებდა, რომ ადამიანები უსულო თოჯინები არიან, რომელთაც ღმერთი ძაფების მეშვეობით ათამაშებს. ხოლო მთელი კატეგორიების ცხოვრება არის მხოლოდ თამაში უფლის ხელთ არსებული. ახალი მსოფლიოს არქიტექტორებმა ამ თვალთახედვას ღრმად გაუდგეს ფესვები ადამიანის ცნობიერებაში.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ფრანგმა ფილოსოფოსმა გი დებორმა დაწერა ნაშრომი „სპექტაკლის საზოგადოება“, რომელშიც ნათლად ჩამოაყალიბა ამ პრობლემის ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური არსი და მიზნები.

ფილოსოფოსის აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიების მანიპულაციებით ხერხდება ადამიანის ცნობიერების გარდაქმნა, როცა ისტორიული გამოცდილებით მიღებული ცოდნა იცვლება ხელოვნურად შექმნილი წარმოდგენით, რეჟისორის ჩანაფიქრის მიხედვით რომ არის გამოძერწილი. იმავდროულად, საზოგადოებაში თანდათან ფეხს იკიდებს აზრი, რომ ცხოვრებაში მთავარია სანახაობა, სპექტაკლი, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრებაც სხვა არაფერია, თუ არა სპექტაკლი და წარმოდგენა.

უფრო საყურადღებო გახლავთ ის, რომ სპექტაკლში მთლიანად ჩაძირული ადამიანი კარგავს კრიტიკული აზროვნების უნარს, „დიალოგის სიბრტყიდან“ ამოვარდნილი, სოციალურ იზოლაციაში ექცევა, იგი მხოლოდ მსმენელის როლში გვევლინება. სახლში რადიოს და ტელევიზორს, ხოლო გარეთ „მიტინგების“ წყალობით იგი იძულებულია უსმინოს სხვათა „გაუთავებელ ლაქლაქს...“ ამასთანავე სპექტაკლის მაყურებელი ექცევა „ფსევდოციალურ“ დროში, რომელიც განსხვავდება ისტორიული, რეალური დროისაგან, სამ განზომილებაში: წარსულსა, აწმყოსა და მომავალში რომ არის განფენილი. „სპექტაკლის დროში“ კი შეგნებულად უარყოფილია წარსული, რომელსაც, კ.პოპერის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „აზრი არ აქვს“. რაც შეეხება მომავალს, ისიც უკვე დაპროგრამებულია რეჟისორის მიერ და მაყურებლს წინასწარ აქვს მომავალზე ოცნებაც კი. ადამიანს ისღა დარჩენია, მხოლოდ აწმყოთი დაკმაყოფილდეს, მაგრამ ეს აწმყოც დეტერმინირებულია ბანალური ინფორმაციის მოზღვავებით, ოღონდაც ეს არაფრისმთქმელი, შეიძლება ითქვას, „უაზრო“ საინფორმაციო კოდები ისეთი ფორმით და ალგორითმით არის მოწოდებული, თითქოს ძალზე მნიშვნელოვან მოვლენებს გვაუწყებდეს. ასე და ამგვარად, სპექტაკლის რეჟისორი მთლიანად განაგებს ადამიანის წარსულს, აწმყოს და მომავალს. არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ამ სპექტაკლის მსახიობებად გვევლინებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ბოროტებისა თუ სიკეთის, იმედის თუ უიმედობის სიმბოლოებად იქცნენ და „ამგვარად ანიჭებენ ერთგვარ აზრს უწესრიგოდ მოწყობილ პოლიტიკურ სამყაროს“ (მ. ედელმანიძ.

აგრეთვე საგულისხმოა, რომ „სპექტაკლის საზოგადოებისათვის“ დამახასიათებელი ნიშანდობლიობა არის „პასუხგაუცემელი სიცრუე“. სხვაგვარად, ადამიანი გრძნობს და ქვეცნობიერად ხვდება, რომ სიცრუესთან აქვს საქმე, მაგრამ პასუხის გაცემას ვერ ახერხებს, ან არ აქვს სურვილი ამისა, ანდა, რაც უფრო უარესია, დაკარგული აქვს შეპასუხების უნარი. სწორედ ეს გარემოება იწვევს საზოგადოებრივი აზრის დასუსტებას და შემდგომ გაქრობას.

ამას ყოველივეს იმიტომ მოგახსენებთ, რომ დღეს, პოსტმოდერნისტულ ეპოქაში სწორედ ზემოხსენებული პოლიტიკური სპექტაკლის ტექნოლოგიით ხორციელდება ყველა ფერადი რევოლუცია. მის დასადგმელად საგულდაგულოდ ემზადებიან: ჯერ სწავლობენ იმ ხალხის კულტურას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, სადაც უნდა განხორციელდეს წარმოდგენა. მერე ამუშავებენ იმ მოტივებს, რომლებიც ამ სპექტაკლის დადგმას ამართლებენ და ბოლოს, აფინანსებენ მის დადგმას.

რა მიზანს ისახავს ეს პოლიტიკური სპექტაკლი?! უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სასურველი ხელისუფლების არჩევას, მთლიანად რომ დაემორჩილება რეჟისორის და დამფინანსებლის ნებას. მეორე, იგი ადამიანს აჩლუნგებს, უკარგავს აზროვნების, ინიციატივის უნარს, ინდივიდუალობას და ბრბოს ნაწილად გადააქცევს. აშორებს მას რეალობას, ილუზიების, წარმოსახვის ტყვეობაში აქცევს, წარმოუჩენს ცრუ გმირებს, უქმნის ცრუ ილუზიებს, ცრუ ბედკეთილობას და მისთ... განსაკუთრებით ამას ახორციელებს მოსყიდული ტელესტუდიების საშუალებით. იმავდროულად უმთავრესი, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებიდან ადამიანის ყურადღება გადააქვს მეორეხარისხოვან მოვლენებზე, ავიწყებს ბუ-საქმის ყოფას და ბედნიერი ცხოვრების ილუზიას უქმნის.

მთავარი მაინც ის არის, რომ ადამიანს ნებაწართმეულ, მორჩილ, ტვინგამორეცხილ მანქურთად აქცევს, სხვის ბრძანებას უსიტყვოდ რომ ასრულებს. ამგვარად, ჯანსაღი საზოგადოების ნაცვლად, ვიღებთ დავალებულ ადამიანთა კრებულს, გამოგონილ, ვირტუალურ გარემოში რომ ცხოვრობს და არ სურს სავალალო სინამდვილეს თვალი გაუსწოროს. ერთობ საგულისხმო და საგანგაშოა, რომ ამ სპექტაკლების თუ „რევოლუციების“ მიზანი არის, არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, არამედ „ახალი“, მენტალიტეტის და აზროვნების სტრუქტურაშეცვლილი ხალხის დაბადება. წარმოიქმნებიან ადამიანები, რომელთაც თავისი მდიდარი, ისტორიულ-კულტურული ფასეულობები ამოშანთული აქვთ და მათში, როგორც როგოტში, ახალი სქემა-დისკეტა შეჰყავთ, რომე-



ლიც შექმნილია სულ სხვა უცხო კულტურულ გარემოში და ერის თვითმყოფადი ბუნებისათვის სავსებით მიუღებელია.

ვგონებ, სადაო არ უნდა იყოს, რომ ჩვენში განხორციელებული ე.წ. ვარდების რევოლუცია, პოლიტიკური პიესის სცენარის მიხედვით არის განხორციელებული და ერისთვის დამღუპველ მიზნებს ემსახურება და თუ ამას დღესაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვერ აღიქვამს, სწორედაც იმის მაუწყებელია, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა სპექტაკლის საზოგადოებად ქცეულა და ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სინდრომით არის მძიმედ დაავადებული.

ვფიქრობ, დროულია, გავიხსენოთ „ვარდების რევოლუციის“ ზოგიერთი დეტალი. ჯერ შევარდნაძის შემცვლელ კანდიდატურებს არჩევდნენ და განსაკუთრებული სელექციური ჯიშის ადამიანს მიანიჭეს უპირატესობა: ენერგიულ, უტიფარ ახალგაზრდას, რომელმაც დაამთავრა კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, შემდგომ ამერიკაში სამთვიანი კურსები გაიარა და „პეტერსონ ბელქნაფის“ იურიდიულ ფირმაში კურიერად მუშაობდა. მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთ დადებით ფაქტად სპექტაკლის რეჟისორებს მიაჩნდათ ისიც, რომ მას ცოლად ჰყავდა ჰოლანდიელი ქალბატონი, რომელიც ქართულის და მეგრულის შესასწავლად სპეციალურად იყო მოვლენილი საქართველოში. ახალგაზრდა მიხეილმა საქართველოში ყოფნისას ბევრ პარტიასთან დაამყარა მჭიდრო კავშირი („ილ. ჭავჭავაძის საზოგადოება“, „ქართია-91“, „სახალხო ფრონტი“, „ტრადიციონალისტები“, „მოქალაქეთა კავშირი“ძ, ბოლოს კი თავად ჩამოაყალიბა „ნაციონალური მოძრაობა“ და გახდა ამ პარტიის თავმჯდომარე. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ამ პიროვნებას იდეური პრინციპები კი არ ამოძრავებდა, არამედ კარიერის კიბეზე აბობღება სურდა, რაც, ბუნებრივია, ჩვენ უცხოელ მეგობრებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. ისინი ხომ ეძებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც პირადი კეთილდღეობისა და კარიერის გამო არაფერზე უკან არ იხევენ.

მეორე ეტაპზე შერჩეული კანდიდატი უნდა წარმოჩენილიყო, როგორც ჩაგრულთა ქომაგი, კორუფციასა და უსამართლობასთან შეუპოვარი მებრძოლი, პრინციპული და მართლის მთქმელი პიროვნება. აბა, გავიხსენოთ მ.სააკაშვილის ხელჩართული ბრძოლები და „ვაჟკაცური“ დარტყმები, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში რომ გააჩაღა. განა მაშინ არ შეეძლო მას ამაყად ეთქვა: აბა, მუშტი-კრივში მნახე ვინა ვარ?! ჩვენც ვნახეთ ეს დადგმული სცენები, დავიჯერეთ მისი „ვაჟკაცობა“! აბა, გავიხსენოთ, აღელვებული და ლამის გაცოფებული მინისტრი, სურათებს რომ აფრიალებდა და თავის კოლეგებს კორუფციაში ამხელდა. მისჩერებოდა საზოგადოება ამ სპექტაკლს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის ეპარებოდა ეჭვი მოთამაშე გმირის გულწრფელობაში. აბა, გავიხსენოთ სახეზე ოფლგადამდინარე მიშა, როგორ დაბობღავდა სახურავებზე, როგორ ცდილობდა მის შეკეთებას. მივჩერებოდით ამ სკეჩს და ეჭვი არ გვეპარებოდა ამ კაცის გარჯასა და გულწრფელობაში; გვავიწყდებოდა, თუკი გიჟი სახურავზე ავა, მას იქიდან ველარ ჩამოიყვან. აკი, ველარც ჩამოგვყავს. აბა, გავიხსენოთ, როგორი თავგამოდებით ამტკიცებდა ხუთჯვრიან დროშაზე, რომელიც სინამდვილეში არის კათოლიკური ინტეგრაციის სიმბოლო, უძველესი ქართულიაო; რა ჯიქურ ააფრიალა ის მერიის თავზე და გააფთრებული იცავდა. ამ ფინალსაც დინჯად მივჩერებოდით, ვიწამეთ მისი მართლმადიდებლობა და პატრიოტობა. ვერც კი ვხვდებოდით, რომ ყოველივე ეს, მისი თავდადება და შემართება „უცხოელი მეგობრების“ თავის მოსაწონებლად იყო გამიზნული და მისთ... კიდევ შეიძლება მრავალი ღირსშესანიშნავი დეტალი გავიხსენოთ მისი ბიოგრაფიიდან. მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორ შეიქმნა „სათამაშო ლომი“, რომლის უძლეველობას და სიმაგრეს დაბეჯითებით გვარწმუნებს დღეს ქართული მასმედია და სახელმწიფო პროპაგანდის მანქანა. აი, ამგვარად, ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა დაიჯერა, რომ მიშა მაგარია.

რაკი მთავარი გმირი გამოძერწეს, საჭირო იყო სპექტაკლის განხორციელების მოტივაცია წამოეწიათ. ცნობილია, რომ პოლიტიკური სპექტაკლის მთავარი თემა ეს არჩევნები იყო და დაიწყეს არჩევნებისთვის „მზადება“. ეს „მზადება“ კი, მარტივად რომ ვთქვათ, არჩევნების გაყალბების მომიზეზებით ჩაშლისთვის იყო გამიზნული. ასეც მოხდა. ჯერ იყო და საარჩევნო სიები ისე აურ-დაურიეს ე. წ. არასამთავრობო ინსტიტუტებმა, განსაკუთრებით კი „თავისუფლების ინსტიტუტის“ რჩეულებმა, რომლებმაც დიდძალი თანხა მიიღეს გრანტის სახით აშშ-დან, რომ ეშმაკიც ვერ გაერკვეოდა, სად იყო თავი და სად ბოლო, ვინ იყო ცოცხალი და ვინ მკვდარი. მერე ამუშავდა ეგზიტპოლები, რომლებიც წინასწარ შემუშავებულ მონაცემებს გვამცნობდნენ. საქართველოს შარაგზებს დერვიშებივით მოედნენ „კმარას“ უბირი გოგო-ბიჭები, ათასგვარ სისაძაგლეს რომ სჩადიოდნენ. აგორდა ხალხმრავალი ქუჩის აქციებიც, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც არსებული სინამდვილით უკმაყოფილო ადამიანები, ასევე ექოს აყოლილი, გაუცნობიერებელი მასა. მეტწილად კი აქ თავი შეეყარა 20-30 ლარად დაქირავებულ ხალხს, ელიავას და სხვა ბაზრობებთან ლუკმაპურის საშოვნელად რომ ქუჩდებოდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ 2003 წ. ჩატარებული არჩევნები ჩაშლილიყო.

სპეციალურად იდგმებოდა გრანდიოზული სცენები: გაიხსენეთ, მერიის აივნიდან გადმომდგარი ფიურერი პატრიოტულ-დემოკრატიული იდეებით როგორ მოძღვრავდა მომიტინგეებს. თვით აივანი გახდა ტელესიუჟეტების სუბიექტი და „რუსთავი-2“-ზე რეპორტაჟები საპროტესტო აქციებისა ასე იწყებოდა: „აი, ეს ცნობილი აივანი“ (?!ძ გაიხსენეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან დაძრული მანქანების ქარავანი, რომლებიც შუქანთებულნი, უწყვეტ ნაკადად უახლოვდებოდნენ ჩაბნელებულ ლამის დედაქალაქს, გაიხსენეთ უნიჭოდ დადგმული ცეკვა ხორუმი, პარლამენტის ირგვლივ წრედ შეკრული. გაიხსენეთ, ნარკოტიკებით გაბრუებული ბრბოს პარლამენტში შემოჭრა, გაიხსენეთ მიშას შიშნარევი ჩხავილი: გადადექი, გადადექიო, გაიხსენეთ უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა როგორ გაუღო სხდომათა დარბაზის კარი ალტყინებულ „ჯიგიტებს“, გაიხსენეთ, შევარდნაძის დაულეველი ჩაის დაწაფებული, გონწაგვრილი სააკაშვილი, გაიხსენეთ, როგორ გააშორეს იძაუროვა ე.შევარდნაძე და როგორ ჭინკებივით დახტოდნენ მაგიდებზე „ვარდების რევოლუციის“ სულის ჩამდგმელნი. ეს ყოველივე გაიხსენე და მაშინ თუ ვერ გაიაზრე, ძვირფასო მკითხველო, ახლა მაინც უნდა შეიგნო, რომ ეს იყო სპექტაკლი, მომზადებული და დაპროგრამებული უცხო ქვეყნებში, რუსეთის და აშშ-ის მიერ უხვად დაფინანსებული და დადგმული.

დიდი გულუბრყვილობა იქნება გვეფიქრა, რომ ის განხორციელდა ქართველ ხალხსა და საქართველოზე ზრუნვით. ორივე ზემოთ ხსენებული იმპერია კავკასიაში საკუთარი გავლენის მოპოვებაზე ზრუნავდა. რუსეთმა ვერა და ვერ მოთოკა თავისი იმპერიული ზრახვანი და მზად არის, თავისი მიზნების მისაღწევად ნაჭრებად აკუწოს საქართველოს სხეული. სამწუხაროდ, არც ამერიკა გვევლინება ფრთებშესხმულ ანგელოზად. დემოკრატიულ ნიღაბს ამოფარებული, ის ვერაგულად ცდილობს, ამოშანთოს ქართული სულიერება, მოსპოს ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობა, მეტიც, გაანადგუროს ქართველი ხალხი და ეროვნება. თუ კაცი მთლად ბეცი არ არის და მეტ-ნაკლებად ერკვევა დღევანდელ გლობალურ პოლიტიკაში, მისთვის ეს ყოველივე უდავო ჭეშმარიტებაა, ასე რომ, ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ საქართველოს და ქართველი ხალხის საზიანოდ განხორციელდა.

ელიზბარ ჯაველიძე.

(გაგრძელება იქნება)

◎ გლობუსი




# გაზაფხული, მიტინგი და რუსული აგრესია

**გაზაფხულის დადგომასთან ერთად ქართული პოლიტიკური აბურდულობა პიკს აღწევს. ზამთრის ძილგადატანილი პარტიები ფხიზლდებიან და ახალი სახალხო გამოსვლის იმედით, საკუთარი სამომავლო ბედის გაჩარხვისათვის ემზადებიან. ჩნდება ახალი პარტიებიც და ალიანსებიც, ხელისუფლებისადმი კატეგორიული მოთხოვნით 10 დღეში რეფერენდუმის დანიშვნის თაობაზე, ზოგი რეგიონებში რევკომების ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებს საზოგადოებას, ზოგი სახალხო კრების დელეგატთა არჩევისაკენ, ზოგიც პირიქით, სიმშვიდისკენ და ხელისუფლებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისაკენ — ესენი ე. წ. საპარლამენტო ოპოზიციაა.**

გადადგომა-გადაყენების თემა თუ საზოგადოებაში არა, პრესის ფურცლებზე უხვადაა. შექმნილი ვითარება თავისთავად ბადებს კითხვას — რომ არ გადადგეს? ამ არცთუ მოულოდნელ კითხვას ოპოზიციური პარტიების ერთი ნაწილი უყოყმანოდ უპასუხებს — არც გადადგება და არც რეფერენდუმს დანიშნავსო. ასეთი პასუხი კიდევ უფრო ძაბავს პოლიტიკურ ვითარებას და ისევ კითხვა — მერე? მერე ის, რომ ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ორგანიზებული უნდა იყოს კუნთმაგარი ყმაწვილებიც, რომლებიც საკადრის პასუხს გასცემენ მერაბიშვილის სამართალდამცავებსო.

**ისევ კითხვა — ხალხი ერთი წლის წინაც საკმაოდ გამოვიდა, მაგრამ ოპოზიციის მოწოდებით ისევ სახლში დაბრუნდა. ზოგი ოპოზიციონერი თვლის, რომ შარშან გაერთიანებული ოპოზიცია მეტად კონსტრუქციული იყო, რამაც არ გაამართლა. დღეს სხვა ვითარებაა და თუ ხელისუფლება დარჩება, არ დარჩება საქართველო. ეს კარგად იყო ცნობილი, როგორც შარშან, ისე შარშანწინაც, რაც ხალხმა გაიგო და იმიტომაც გამოვიდა. ოპოზიციამ ვერ ან არ გაიგო. ხელისუფლებასთან შეთამაშებულობა უშლიდა ხელს.**

კონსტიტუციური ჩარჩოებიდან არ გავალთ, ისე ვიმოქმედებთო, აცხადებენ ოპოზიციონერები. ამ შემთხვევაში კონსტიტუციაზე ბუნებრივი დატვირთვა აქვს — თავის დასამშვიდებელიც და გასამართლებელიც. როდესაც რაღაცის გაკეთება არ შეგიძლია, უმალ თავს იმართლებ — კონსტიტუციას ვცემ პატივსო. **კონსტიტუცია ზეკანონია, მაგრამ ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში და არა ისეთში, როგორიც საქართველოა. აქ, კონსტიტუცია პრეზიდენტზე მორგებულ ჩოხას უფრო ჰგავს, ვიდრე უზენაეს კანონს, პრეზიდენტის ხელში ფარატინა ქაღალდს რომ დაემსგავსა. ან ვის სჭირდება კონსტიტუცია ქვეყნის გარეშე? კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქმედება ხომ არ გახდა ტერიტორიის შევიწროების საბაბი?**

ოპოზიციონერთა იმედი ხალხია, ანუ სახალხო გამოსვლა, მრავალათასიანი, პერმანენტული, ხელისუფლების გადადგომამდე გაგრძელებული. ოპოზიციის აზრით ასეულ-ათასობით ადამიანს ვერც პოლიცია და ვერც ჯარი ვერაფერს დააკლებს. სხვა ქვეყნების გამოცდილება სახეზეა — ტაილანდი, ინდონეზია, პერუ... საწინააღმდეგო მაგალითებიცაა, არასასურველი დაპირისპირებით, რაც საქართველომაც გამოსცადა. რა გზას აირჩევს ხელისუფლება ქუჩაში გამოსული ხალხის წინააღმდეგ ამ ოპოზიციამ კარგად უნდა იცოდეს. ის ხომ სულ ახლახანს ხალხს პარლამენტის შენობიდან დაპყურებდა?!

**ხელისუფლებიდან დათხოვნილთა თუ ნებაყოფლობით წასულთა რაოდენობა იზრდება. მათი წყალობით ოპოზიციონერთა რიგები ფართოვდება, ფერიცვალების ტემპი ისეთია, ავ თვალს არ ენახება. მარტო სააკაშვილია დარჩენილი და ისიც ალბათ სერიოზულად ემზადება ოპოზიციაში გადასასვლელად. სააკაშვილის გუნდიდან გაქცეულთა რაოდენობამ თავისთავად შექმნა შთაბეჭდილება, რომ თვით სააკაშვილი გააკეთებს განცხადებას სააკაშვილის წინააღმდეგ, გაემიჯნება მას — სწორედ ის არის დამნაშავე ყველაფერში, მე არაფერ შუაში ვარო. დარწმუნებული ვარ ოპოზიციაში გადასულ სააკაშვილს გაუგებს ხალხი, ისე, როგორც გაუგო ბურჯანაძეს, ნოღაიდელს, ალასანიას, ზურაბიშვილს, ოქრუაშვილს, მით უმეტეს თუ სააკაშვილი საკუთარ შეცდომებს მერაბიშვილს, უგულავას, ბაქრაძეს, რაისას, ბრაისას, ბუშს და სხვებს გადააბრალებს.**

საინტერესო ქვეყანაა საქართველო. აქ არც ერთი დამნაშავე პოლიტიკოსი ან ჩვეულებრივი მავანი თავს დამნაშავედ არ თვლის. ქართველები ყოველთვის მართლები ვართ. სულ ახლახანს დიდი ხმაური იყო ატეხილი ევროკავშირის კომისიის გერმანელი და ინგლისელი წევრების მიმართ. მათ კომისიაში გაწევრიანებამდე უთქვამთ, ცხინვალის ომი თბილისმა დაიწყოო. გამწარებულმა ხელისუფლებამ რეკომენდაცია მისცა კომისიას, გაათავისუფლოს „დამნაშავეები". საკითხის გაბუქებაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ვაშაძე-იაკობაშვილი. ეს უკანასკნელი უფრო შორს წავიდა. ბრალი დასდო რა მათ „გაზპრომის" მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოსყიდვაში. არადა პროფესორებმა ოტტო ლუჰტერჰანდტმა და კრისტოფერ ლანგტონმა გაიმეორეს ის, რაც განაცხადა სარკოზიმ, ევროკავშირმა, დასავლურმა მასმედიამ. საქართველოს ხელისუფალთა საქციელი ყოველგვარ დიპლომატიურ ჩარჩოებს სცილდება. ვაშაძემ, იაკობაშვილმა, სხვებმა იერიში მიიტანეს მარჩენალ ევროკავშირზე. ახია მასზე.

არანაკლები აჟიოტაჟი გამოიწვია მოსკოველი სამხედრო ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის განცხადებამ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ახალი ომის შესაძლო დაწყებასთან დაკავშირებით. ექსპერტის მიხედვით, საქართველოში შემოჭრა ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მოხდება. გასაკვირი ის იქნებოდა, სამხრეთიდან, ანუ თურქეთის ან აღმოსავლეთიდან, ანუ აზერბაიჯანის მხრიდან რომ შემოჭრილიყო. ექსპერტმა ისიც „გამოიცნო", რომ შემოჭრის მიზანი სააკაშვილის ჩამოგდებაა. მის ნაცვლად „ექსპერტის" აზრით რუსეთი აბაშიძეს მოიყვანს. თუმცა იქვე ასკვნის, რომ სააკაშვილის შესაცვლელად რუსეთმა საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაამარცხოს, რაც „რუსეთისთვის არც ისე იოლია". ავტორის ღრმადჩახედულობა და საიდუმლოების ამოცნობის ტექნიკა ქვას გახეთქავს. საინტერესოა რა ჯადოსნურმა ჯოხის აქნევამ გადააქცია ცხინვალის ფრონტიდან გამოქცეული არმია დაუმარცხებელ ბარიერად? თუ რუსებს სააკაშვილის ჩამოგდება უნდოდათ, ვინ უშლიდათ ხელს?

**ფელგენგაური შინაური ცხოველის მსგავსად, შინაური ექსპერტია, ისე, როგორც ილარიონოვი, ლატინინა, სხვები, ხელისუფალთა ძახილზე მზად რომ არიან ნებისმიერი „საიდუმლოს" გამოცხობისთვის. ოპოზიციონერთა ხმამაღალმა განცხადებებმა, როგორც ჩანს, მაღალი ხელისუფალის ყურამდეც მიაღწია და ამუშავდა ნაცადი მეთოდი — გარედან ზეწოლა. ხელისუფლებამ და საპარლამენტო ოპოზიციამ უმალ აიტაცეს ფელგენგაუერის სიზმარი — იმ დროს, როდესაც აგრესორი რუსეთი ახალი აგრესიისათვის ემზადება, ნაცვლად მიტინგებისა და სახალხო გამოსვლებისა, ერთად უნდა დავდგეთ ქვეყნის სადარაჯოზეო. განსაკუთრებით შეშფოთებულია საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი.** მის მიხედვით, თურმე გაზაფხულზე რუსეთში დიდი კრიზისია მოსალოდნელი სოციალური ბუნტით. ასეთ დროს „რუსეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიიდან გამომდინარე რუსეთი იწყებს აქცენტების გადატანას ქვეყნის გარეთ და სხვა მოვლენებზე, იწყებს სამხედრო ავანტიურას" — თქვა მან. და ისიც დაამატა, ფელგენგაუერმა აგვისტოს ომამდეც გააკეთა განცხადება, მაგრამ მას ყური არავინ ათხოვაო.

ფელგენგაუერზე მეტად უმჯობესი იყო კიწმარიშვილის ნათქვამისთვის ყურის დაგდება — სააკაშვილს ომის დაწყება გაცილებით ადრე უნდოდაო. სამხედრო ექსპერტის გამეორებულ „საიდუმლოების" კიწმარიშვილისეულ ვერსიასთან შედარებისას, ნათლად ჩანს, ვის რა უნდოდა. ამ მხრივ ვითარება არც დღეს შეცვლილა, შეიცვალა საერთო მსოფლიო ვითარება, რასაც სამწუხაროდ ხელისუფლება ვერ გრძნობს. აგვისტოს ომი რუსეთს ძვირად დაუჯდა. მისი სახელი სერიოზულად შეიბღალა, რაშიც საქართველომ დიდი წვლილი შეიტანა. ომის მომდევნო, თითქმის ერთი თვის განმავლობაში, საქართველო, ცხადია დასავლეთის დახმარებით, პირწმინდად უგებდა საინფორმაციო ომს რუსეთს, მაგრამ შემდგომში, როდესაც სიმართლემ თავი არ დამალა, მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. საქართველოს მიერ გადაყრილი ფული ამაო გამოდგა. დღეს ყველამ კარგად იცის, ომი ვინ დაიწყო და რაც არ უნდა წერონ ფელგენგაუერმა და მისმა მსგავსმა „ექსპერტებმა" „საიდუმლო" ამბების შესახებ და რაც არ უნდა დაბეჯითებით უთითოს მათზე საქართველოს ხელისუფლებამ, თუ როგორ ემზადებოდა ან ემზადება რუსეთი საქართველოში შემოსაჭრელად, შედეგს ვერ მოიტანს ანუ ხელისუფალთათვის სასურველ მიზანს ვერ მიაღწევს.

**ქართველი პოლიტიკოსები სისტემატურად აცხადებენ, რომ რუსეთი მილიონობით დოლარს ხარჯავს უცხოეთში საკუთარი იმიჯის გამოსწორებისათვის. არ მგონია საქართველოს ხელისუფლება ნაკლებს ხარჯავდეს. ამის შესახებ სააკაშვილთან საუბარში მოურიდებლად განაცხადა ინგლისური ტელეკომპანია ბი-ბი-სის კორესპონდენტმა სტივენ საკურმა. რაც შეეხება რუსეთის მიერ დახარჯულ მილიონებს, ჯერჯერობით რუსეთის იმიჯი არ გამოუსწროებია. ისე, როგორც წინათ, დღესაც აქტუალურია რუსეთის გინება, რაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტითაც ჩანს და რაც არანაკლებ გამოწვეულია იმითაც, რომ მას არ სურს კავკასიაში პოზიციების დათმობა. გადაჭარბებულად მეჩვენება ზოგი ქართველი და უცხოელი პოლიტოლოგის მოსაზრება, რომ რუსეთს სურს საბჭოთა იმპერიის აღდგენა. სურვილი ერთია, მაგრამ განუხორციელებლის განხორციელება მეორე. გლობალიზაციის ეპოქაში ძველი მეთოდებით მოქმედება მიზანს ვერ მიაღწევს, ანუ კავკასიის ქვეყნებზე ძალისმიერი ზემოქმედება, ისე როგორც დსთ-ს სახელმწიფოებზე, თვით რუსეთისათვის დასრულდება ნეგატიური შედეგებით.**

ის, რაც აგვისტოში მოხდა სხვა თემაა, რომელიც მოითხოვს მიუკერძოებელ გამოკვლევას, მტყუან-მართლის დადგენას, გარდა ამისა, ქართულ-რუსული ისტორიული ურთიერთობების ახლებურ კვლევას, ყოველგვარი ტემპერამენტიანი, ხშირად დაუსაბუთებელი ემოციური განცხადების გარეშე. დღეს, ამის არც პოლიტიკური და არც საზოგადოებრივი სურვილი არ არსებობს, დარწმუნებული ვარ ეს დღეც მოვა. მანამდე კი ფართო მოთხოვნა, ცხადია ხელისუფალთა მხრიდან, იქნება ფელგენგაუერებზე, ილარიონოვებზე, ლატინინებზე, ალბაცებზე და სხვებზე. მათი ზღაპრები საშინაო მოხმარებისაა და გამიზნულია ქართული საზოგადოების გამოთაყვანებაზე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი





◉ იუბილე

# მაყვალა გონაშვილს ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭა

**თბილისში მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის დაბადების 50 წლისთავს.**



დარბაზში შეიკრიბნენ მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები, მეცნიერები, სამღვდელოების წარმომადგენლები, მოძმე ერების ლიტერატორები სამხრეთ კავკასიის მეზობელი ქვეყნებიდან, ჟურნალისტები...

გამოცხადდა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის საპრემიო კომისიის გადაწყვეტილებით ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭა მაყვალა გონაშვილს – უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ლექსების, პუბლიცისტური წერილებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

აქვე იყო წარმოდგენილი გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ მიერ დასტამბული ახალი წიგნი – კრებული „აქედანა და თქვენამდე“, რომელსაც წინ უძღვის თვით იუბილარის სიტყვები: „აქედანა და თქვენამდე, ვარდი მასხია ყელამდე“, აქედანა და თქვენამდე ლოცვით და ლექსით მოვედი, აქედანა და თქვენამდე სიხარულიც უხვად მქონდა და სევდაც. აქედანა და თქვენამდე 50 წელი გასულა... აქედანა და თქვენამდე თუ ვთქვი ერთი ლექსი მაინც, მოსმენად რომ ღირდა?! თუ ასეა, მადლი გამჩენს, თუ არადა, მაპატიოს იმ მშვენიერმა ხემ, რომლის ტანიც ამ წიგნის ფურცლებად იქცა“.

გამომსვლელთა შორის იყვნენ მეუფე თადეოზი (იორამაშვილი), რეზო მიშველაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ოთარაშვილი, ირმა სოხაძე, ელდინო საღარაძე, გიორგი გიგაური, რამინ მიქაბერიძე, ფრიდონ ხალვაში, ვახტანგ ღლონტი, გენო კალანდია, მზია ხეთაგური, მერაბ დონაძე, გივი თოიძე, გივი სიხარულიძე, რადიშ თორდია, დალილა ბედიანიძე, აზერბაიჯანელი სტუმარი – გაზეთ „Press-Diaspora“-ს დამფუძნებელი არიფ იბრაგიმივი, რომელმაც ჩამოიტანა თავისი გამოცემა პუბლიკაციით ქართველი პოეტიქალის შესახებ...

მოლოცვები და მისალმებები მოვიდა აგრეთვე არა მარტო საქართველოს სამწერლო ორგანიზაცია-დაწესებულებებისაგან, არამედ რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა ახლო თუ შორეული მეზობელი ქვეყნებიდან.

დიდი ადგილი დაუთმო მაყვალა გონაშვილის შემოქმედების შეფასებას და კოლეგების მისალმებას „მწერლის გაზეთის“ ახალმა ნომერმა.

ყველა აღნიშნავდა ქალბატონ მაყვალას გასაოცარ თვისებას – თესოს სიკეთე, შეარიგოს მოჩხუბარნი, დაეხმაროს გაჭირვებულს... მაგრამ შეურიგებელია ერის მტრებისა და მოღალატეების მიმართ...

მისი სიტყვა და საქმე გულწრფელია და ამიტომაც უყვარს ის ხალხს.

**მურად ალაშვილი,**

ავტორის ფოტო

# განცხადება

**სს „ელვა“ 2009 წლის 16 მარტს აწყობს აუქციონს შავი ლითონის ჯართის გაყიდვის მიზნით, ჯართის რაოდენობაა 6 ტონა. ჯართის სახეობაა ლითონის ფურცლის ნაკეთობები, დაზგების დეტალები, დგარები. საწყისი ფასი 1 ტონა 140 ლარი იმ პირობით, რომ აუქციონზე გამარჯვებული პირი თავისი სახსრებით ახდენს ჯართის დაჭრას, დატვირთვას და ტრანსპორტირებას. აუქციონი შედგება დღის 12 საათზე სს „ელვას“ ტერიტორიაზე, ჯიქიას 5-ში. განცხადება მიიღება 16 თებერვლამდე.**

---

**სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია 2009 წლის 16 მარტს აწყობს აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება: სალარავი ჩარხი საწყისი ფასით 2000 ლარი, სახეხი ჩარხი 3400 ლ.**

**აუქციონი ჩატარდება დღის 12 საათზე, სს „ელვას“ ტერიტორიაზე. განცხადებაში მოცემულია საწყისი ფასები დღგ-ს გარეშე. აუქციონზე გასატანი საქონლის ტექნიკური მდგომარეობის, გაყიდვის პირობების გაცნობა მსურველებს შეუძლიათ ჯიქიას ქ. №5-ში, სს „ელვას“ ადმინისტრაციაში ან ტელეფონით 53-61-77.**

◉ კერძო აზრი

# ხუთი პარადოქსი

## საქართველო ომს თავიდან ვერ აიცილებდა

**რუსეთთან ომი საქართველოს არ დაუწყია, მაგრამ ომი საქართველომ დაიწყოო.**

**ომი საქართველომ დაიწყო, მაგრამ ომის თავიდან აცილება შეეძლოო.**

**ომის თავიდან აცილება შეეძლოო, მაგრამ არ იციან, როგორ შეეძლო.**

**არ იციან, როგორ შეეძლო, მაგრამ ამბობენ, მე რომ ხელისუფლებაში ვყოფილიყავი, რუსეთი ომს არ დაიწყებდაო (ანდაზა: ზოგიერთი ზურგს უკან ამბობს – მე რომ იქ ვყოფილიყავი, ის ამას არ ჩაიდენდაო). ომი რუსეთს დაუწყია, მაგრამ ომი საქართველომ დაიწყოო.**

საქართველოში არიან პოლიტიკოსები და ოპოზიციური პარტიის ლიდერები, მათ შორის ხელისუფლებაში ნამყოფი მაღალჩინოსნები, რომლებიც ამბობენ, ომის თავიდან აცილება შეიძლებოდაო, მაგრამ არ ამბობენ, როგორ შეიძლებოდა. ანდაზაა – „ვინც „ანი“ თქვა, „ბანიც“ უნდა თქვასო“.

კი, შეიძლებოდა ომის თავიდან აცილება, თუ საქართველო აფხაზეთს და სამაჩაბლოს (ე. წ. სამხრეთ ოსეთს) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობდა, ან გიორგაძე იქნებოდა პრეზიდენტი, ხოლო მთავრობა შეიძმნებოდა პარტია „იმედის“ წევრებისაგან ქალბ. ირინა სარიშვილის თავმჯდომარეობით, თუ საქართველო რუსეთის ვასალი სახელმწიფო გახდებოდა.

რუსეთის პოლიტიკის სტრატეგიული გეგმის პროგრამიდან გამომდინარე, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოში ინტერვენციის განხორციელება, საქართველო ომს თავიდან ვერ აიცილებდა.

რუსეთის ხელისუფლებამ გათვალა, თუ რა სამხედრო ძალა იყო საჭირო ინტერვენციის განსახორციელებლად და ამ პარამეტრების მქონე 58-ე არმია გადმოისროლა ჩრდილოეთ ოსეთში, შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. სამხრეთ ოსეთში და მეთოდურად შეუდგა გეგმის განხორციელებას. პუტინი დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილი „პროვოკაციაზე“ არ წამოეგებოდა, ბრძოლაში არ ჩაებმებოდა, 58-ე არმიის ავანგარდი უდანაკარგოდ მიადგებოდა თბილისს და ქართული ჯარის წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ აიღებდა მას.

საქართველოს ხელისუფლებამ შეაფასა შექმნილი სიტუაცია, გამოიცნო რუსეთის სამოქმედო გეგმა, მიიღო სწორი გადაწყვეტილება და მძლავრი საარტილერიო ზალპით დარტყმა მიაყენა 58-ე არმიის მოწინავე ნაწილს, რის შედეგადაც მძიმე ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მწყობრიდან გამოუყვანა. დანაკლისის შეუვსებლად გაწვრთნილ ქართულ ჯართან ბრძოლა შეიძლება მარცხით დამთავრებულიყო. ამას დაემატებოდა პარტიზანული ომი ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ჩრდილოეთ კავკასიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების გააქტიურება და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ანტირუსული გამოსვლები. პრეზიდენტ მედვედევის რეგენტ პუტინს ამჯერად ეყო ჭკუა, გაეანალიზებინა ყველაფერი ეს და იძულებული შეიქმნა გადაეფიქრა შეტევა თბილისზე.

რუსეთს ამ ომში არ გაუმარჯვია, რადგან ვერ მიაღწია საწადელ მიზანს – პუტინს უნდოდა სააკაშვილისათვის გაეკეთებინა ის, რაც ელცინმა გაუკეთა გამსახურდიას. ნათქვამია „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“. ამ ომიდან „ხელცარიელი“ წასვლა რუსეთისთვის დამამცირებელი იქნებოდა, ამიტომ ახალგორსა და ზემო აფხაზეთში ჯარი ჩააყენა. პუტინს ვერ მოუნელებია ის, რომ სააკაშვილმა ჩაუშალა თბილისის აღება და მასზე ჯავრს იყრის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარე რაიონებში პროვოკაციების მოწყობით. რუსეთისაგან ყველაფერია მოსალოდნელი,



„მგელი თავის ბალანს იცვლის და არა ჯიშს“.

პუტინი და მედვედევი, ელცინის მსგავსად, საქართველოსადმი უგუნურ პოლიტიკას ატარებენ – ტერიტორიების მიტაცების მუქარით უნდათ ხელისუფლება თავიანთ ნებაზე ატარონ. მათ უნდა შეიგნონ: რაც ჩაფიქრებული აქვთ, უტოპიაა. რუსეთს უკვირს რატომ არის საქართველო ამერიკასთან ასე თბილად და მეგობრულად. ანდაზაა: „ვის პურსაც ვჭამ, იმის სიმღერას ვმღერიო“.

რუსეთი ტერორისტი სახელმწიფო გახდა, ის ყალიბდება საქართველოს ისტორიულ მტრად, მისი მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რუსები და ქართველები წაჰკიდონ ერთმანეთს. დედამიწის ზურგზე ასეთი პრეცედენტები არსებობს და ვხედავთ, თუ რა „სიკეთე“ მოაქვთ მათ.

ანდაზაა, „სიმართლე გაჭირვებაში ვარდება, მაგრამ არ კვდებაო“. ჩვენმა სიმართლემ რომ იზეიმოს, მას ზურგს ძალა უნდა უმაგრებდეს. საქართველოს ბევრი მრჩეველი ჰყავს და ცოტა მშველელი, ამიტომ საჭიროა ძლიერი ჯარის შექმნა, პირადი შემადგენლობის გაზრდა, მისი თანამედროვე იარაღით, მათ შორის შემტევი იარაღით აღჭურვა. მტერს, მოწინააღმდეგეს იმის შიში უნდა ჰქონდეს, რომ ზურგშიც მიაყენებენ დარტყმას. ნათქვამია: თავდაცვის საუკეთესო საშუალება შეტევააო. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს აღმოაჩნდა ბირთვული იარაღი, რუსეთი მაშინვე სწორად აიღებს „ნოტებს“. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა აღვადგინოთ სამხედრო სწავლება. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის უნდა დაიდოს ამერიკა-საქართველოს ქარტიის მსგავსი ხელშეკრულება.

ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მეგობარი ქვეყნები და ნატო გააფრთხილებდნენ რუსეთს, რომ აგრესიის შემთხვევაში ისინი მხარს დაუჭერდნენ საქართველოს და ჩაებმებოდნენ ომში. რაც არ გაკეთდა.

საქართველომ შეცდომა დაუშვა, რომ არ აღადგინა თავისი იურისდიქცია ე. წ. სამხრეთ ოსეთში ორი წლის წინათ, როდესაც სპეციალისტებმა – რუსეთის მარიონეტებმა და შემოპარულმა რუსმა ჯარისკაცებმა ერთ-ერთი სიმაღლიდან ქართულ საგუშაგოებს და სოფლებს ცეცხლი გაუხსნეს სარაკეტო დანადგარებიდან. ქართველმა სპეცრაზმელებმა სიმაღლე აიღეს, მაგრამ შემდეგ ხელისუფლებამ „დიდსულოვნება“ გამოიჩინა, სეპარატისტებს დაუბრუნა და დასავლეთ ევროპას რევერანსი გაუკეთა. „ვის რა უნდა ეთქვა, წისქვილს კი დაეფქვა“.

საქართველოში კონფლიქტების დამდგენმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო მისიამ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს როგორ მოხდა, რომ რუსეთი, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩაერია საქართველოს შინაურ საქმეში, შემდეგ კი გამოიძიოს კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები და ფაქტები. დასკვნა ტენდენციური იქნება – დაადანაშაულებენ ორივე მხარეს.

ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ თუ ხელისუფლებაში მმართველი პარტია შეიცვლება, ყველა პრობლემა, საჭირბოროტო საკითხები უმალვე აღმოიფხვრება, სიმშვიდე დაისადგურებს და სამოთხეში აღმოვჩნდებით. ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი პარტიისაგან შემდგარ ხელისუფლებას მხოლოდ იმ რესურსების გაცემა შეუძლია, რაც აქვს. რესურსების გასაზრდელად საჭიროა დრო და დაუღალავი შრომა, ამერიკანიზაციის დანერგვა – ყოველდღიურად სამუშაო საათების შემდეგ და დასვენების დღეებში საწარმოებში და მშენებლობებზე შაბათობის ჩატარება, გამოუმუშავებული თანხის ჩამორჩენილი დარგების რეაბილიტაცია-განვითარებისათვის გამოყენება. ანდაზაა – ყოველი კაცი თავის ბედის მჭედელიაო.

ბატონ პრეზიდენტს ადანაშაულებენ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღებისათვის. რაც ქვეყანაში ხდება, კარგზე და ცუდზე, პირველ რიგში პრეზიდენტია პასუხისმგებელი. პრეზიდენტმა უნდა მოუსმინოს ყველას და გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს. რუსთაველის ანდაზაა – „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“.

საქართველოში ის ხდება, რაც სხვაგანაც ხდება. ნუ გავაზვიადებთ ყველაფერს, „კოღოს სპილოდ ნუ გადავაქცევთ“. ხელისუფლებასთან ჭიდილს, ქვეყნისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. ეს არის ის გზა, რომელიც ედემის – ამ ქვეყნიერების სამოთხის კარამდე მიგვიყვანს.

**ოთარ შონია**

**აქცია**

# „მიშა, წადი, მომავალო, გაფრთხილდი!“

**გუშინ, სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა 15 მარტისა და 9 აპრილის აქციებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს. მათი ძირითადი მოთხოვნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომაა.**

**„ყველა ღირსეულ ადამიანსა და სპორტულ საზოგადოებას, რომელიც ოკუპირებულია ნაციონალური მოძრაობის მიერ, მოვუწოდებთ 15 მარტს შოთა რუსთაველის ძეგლთან გამართულ აქციას შეუერთდეს მოთხოვნით: „მიშა, წადი, მომავალო, გაფრთხილდი“, — განაცხადა სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ირაკლი დოლაბერიძემ.**

**აქციის მონაწილენი აღშფოთებული არიან, რომ ერთადერთი სპორტული სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი გაუქმებულია. 40 ათასი კვადრატული მეტრი ფართი გასასხვისებლად იყო გამზადებული, თუმცა საზოგადოებრიობის დიდი ძალისხმევის შედეგად, შენობა გაყიდვას გადაურჩა. ამჟამად სპორტის აკადემიის შენობაში აგვისტოში რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული ორი ოჯახი ცხოვრობს.**

**ანა კვარაცხელია**

**ცხენოსნობა**

## კეზერაშვილი უთავკაცებს





**საქართველოს ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის ყრილობამ პრეზიდენტად დავით კეზერაშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.** პირველ ვიცე-პრეზიდენტად ლაშა ჯაიანი, ვიცე-პრეზიდენტებად — ზაზა ჩიტრეკაშვილი, ალექსანდრე დგებუაძე და გიორგი დანელია, ხოლო გენერალურ მდივნად ბაქარ გაჩეჩილაძე აირჩიეს.

**მძლეოსნობა**

## მეხუთედ — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე



**ქართველმა მძლეოსანმა, ორი ოლიმპიადის მონაწილე მარიამ ქევხიშვილმა ამერიკაში კვლავ ისახელა თავი — ქალაქ ლექსინგტონში საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე ბირთვი 17,94 მეტრზე კრა და პირველი ადგილი დაიკავა.** საგულისხმოა, რომ მარიამმა პირადი მიღწევა გააუმჯობესა და დახურული დარბაზებისთვის საუნივერსიტეტო სპორტის რეკორდიც დაამყარა. ქართველი მძლეოსანი წლეულს მეხუთედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

**ჩოგბურთი**

## ტეხასის კორტებზე



**ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მაკალენში (ტეხასის შტატი) დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი), რომელშიც 17 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილიც მონაწილეობს.** საკვალიფიკაციო ეტაპზე მან სამ მეტოქეს სძლია, ფინალში კი მეოთხე ნომრად განთესილი ნიკოლაუს მოზერი დაამარცხა. ძირითადი ბადის პირველ წრეში იგი „ველური ბარათით“ მიწვეულ 30 წლის ჯეიმონ კრაბს დაუპირისპირდება.

**კადრი**



**ჭადრაკი**

## დედის დღის მიძღვნა



**ქუთაისის საჭადრაკო კლუბმა „მაიამ“ დედის დღისადმი მიძღვნილ ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც პროფესიონალები და მოყვარულებიც მონაწილეობდნენ.** შვეიცარიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაში პროფესიონალთა შორის იანურ დონაშვილმა გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, თამაზ სვანაძე და გოჩა დვალიშვილი გავიდნენ. მოყვარულებში ზურაბ ხურციძემ დაიკავა პირველი ადგილი, ქალებში ყველას შორენა ჯიმშელეიშვილმა აჯობა. გამარჯვებულები და პრიზიორები ქუთაისის მერმა ნუგზარ შამუგიამ, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ნურალიძემ და ვიცე-პრეზიდენტმა ერეკლე გიორგაძემ დააჯილდოვეს.

**შეხვედრა**



## როცა ასეთი სიყვარულია



**მაინც, რანი ვართ ქართველნი — თუ კაცი მოვიმდურეთ, ბოლომდე დავწიხლავთ, ხოლო თუ შევიყვარეთ, უსაზღვროდ ვიცით გადაყოლა. ცუდია ეს თუ კარგი, სხვებმა შეაფასონ, ახლა კი, მოდით, დადებითზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.**

**იმ შეხვედრაზე მოგახსენებთ, ყვარლის საზოგადოებრიობამ რომ მოუწყო ამ დღეებში ოლიმპიურ ჩემპიონს რევაზ მინდორაშვილს.**

**პეკინის გმირის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე საუბარი ილია ჭავჭავაძის სახლობის სახლ-მუზეუმის საატო დარბაზში დაიწყო და კორპორაცია „ქინძმარაულის“ ღვინის მარანში დასრულდა.**

**ამ დაუვიწყარი ღონისძიების რამდენიმე ეპიზოდს ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟით გაეცანით.**



**ტერორიზმი**

## არავის არ ინდობენ

**პაკისტანში განხორციელებული ტერორისტული აქტები კარგა ხანია აღარავის აკვირვებს, მაგრამ ეს შემთხვევა მაინც განსაკუთრებულად უნდა მივიჩნიოთ.**



შრი-ლანკის კრიკეტისტთა ეროვნული ნაკრების ავტობუსზე მომხდარ თავდასხმას ვგულისხმობთ, რომელსაც ხუთი ადგილობრივი სამართალდამცავის სიცოცხლე ემსხვერპლა, სტუმართა შვიდი მოთამაშე კი სხვადასხვა ხარისხის ჭრილობებით ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

დავძენთ, რომ ქალაქ ლაჰორში დანიშნული ორი ქვეყნის მთავარი გუნდის ამხანაგური მატჩის წინ პაკისტანის ხელისუფალნი უსაფრთხოების გარანტიებს იძლეოდნენ, მაგრამ...

## პანტელეიმონ გიორგაძის ხსოვნას

# ღირსების გენერალი

რა არის ადამიანის საზომი? ალბათ ის, თუ რა სიმძიმის იყო ტვირთი, რომელიც მან ატარა. პანტელეიმონ გიორგაძემ ძალიან მძიმე ტვირთის აწევა და ტარება შეძლო. იმ ტვირთის შესახებ არ მოგახსენებთ, საბჭოთა გენერლობა, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის პირველი მდივნობა და საერთაშორისო ტერორისტის იარლიყმიკერებული შვილის მამობა ავტომატურად რომ გულისხმობს დღევანდელ საქართველოში. ყოველივე ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ ვიტყვით, ამჟამად კი, მხედველობაში ის ტვირთი გვაქვს, ეპოქის მიერ მოტანილ და წახალისებულ უზნეობასთან შეურიგებლობა, კონიუნქტურის მოთხოვნების შესაბამისად ლავირებასა და ზიგზაგებზე უარის თქმა და მტკიცე პოლიტიკური მრწამსით საზოგადოების წინაშე წარდგომა რომ ჰქვია.

რა იყო პანტელეიმონ გიორგაძის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მრწამსი?

ჩვენმა ქვეყანამ რუსეთთან კეთილმეზობლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ისტორიულ გზას არ უნდა გადაუხვიოს, თორემ კატასტროფა არ აგვცდებაო. ეს იყო მისი პოლიტიკური მრწამსიცა და საქართველოს საკეთილდღეოდ მოქმედებისათვის ამოსავალი უმთავრესი დებულებაც. ეს განცხადება სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იგი რენეგატად, მეხუთე კოლონის წარმომადგენლად და სამშობლოს მოღალატედ შეერაცხათ და მამა-შვილ გიორგაძეებისგან სწორედ ის მტრის ხატი შეექმნათ, ასე რომ სჭირდებოდა ხელისუფლებას.

ამ პატარა გამოსათხოვარში ნამდვილად არ რჩება ადგილი ვინმესთვის ნიშნის მოსაგებად და რაიმე კატეგორიული პოლიტიკური დასკვნის გასაკეთებლად, მაგრამ ერთ კითხვას მაინც დავსვამთ: პანტელეიმონ გიორგაძე თავის დროზე ანათემისთვის რომ არ გადაგვეცა და მისი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა ყურად გვეღო, იქნებ არც დაგვეკარგა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი? იქნებო, ვამბობთ, ფრთხილად, რადგან დღევანდელ საქართველოში ჩამორჩენილობად და რეტროგრადობად ითვლება ფიქრი, აზროვნება, განსჯა, თორემ რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ გზამ, რომელსაც ხელისუფლების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ბოლო ოცი წლის განმავლობაში ადგნენ და ადგანან, საქართველო მიწასთან გაასწორა.

პანტელეიმონ გიორგაძე სოციალისტური იდეების ერთგული დარჩა ბოლომდე. ჯერ კიდევ ნაადრევია იმის შესახებ ხმამაღლა ლაპარაკი (ფიქრით კი, ბევრი ფიქრობსძ, რომ ვერაგული კაპიტალისტური წყობილება სოციალიზმთან შედარებით, თურმე, ნამდვილი ჯოჯოხეთი ყოფილა, მაგრამ უკანასკნელი პერიოდის მოვლენები, მსოფლიო ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს რომ უწოდებენ, სინამდვილეში კი სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო კაპიტალიზმის საერთო სისტემური კრიზისი, მალე ბევრს აუხელს თვალებს და ათქმევინებს, რომ მოხუცი გენერლის ბაგეთაგან, ვილაცათა საქილიკოდ ჟამიდან ჟამამდე რომ გამოაჩენდნენ ტელეკრანზე, თურმე, ჭეშმარიტება ღაღადებდა. თუმცა, ეს დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა და ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. დღეს ქართველთა უმრავლესობა მის თვალწინ, აგერ, აწმყოში რაც ხდება, იმას ვერ ხედავს და ხვალ და ზეგ რაც უნდა მოხდეს, იმას როგორღა დაინახავს?!

პანტელეიმონ გიორგაძე ის იშვიათი გამონაკლისთაგანი იყო, ვინც საკუთარ ბიოგრაფიას ლაფში არ სვრიდა ამ უზნეო ეპოქისგან გაცემული დივიდენდების საფასურად. იგი, საბჭოთა პერიოდის ბევრი ვაიმოღვაწისგან განსხვავებით, რომის პაპზე მეტ კათოლიკეობას რომ იჩემებენ, განვლილი ცხოვრების მიმართ პატივისცემას არ მალავდა და ეს იყო მისი უდიდესი ღირსება!

კომუნისტურ პარტიას ვერც ღალატით გააკვირვებდა ვინმე და ვერც – ერთგულებით, ვინაიდან როგორც პირველის, ისე მეორის განსაცვიფრებელი მაგალითები ახსოვს ისტორიას.

პანტელეიმონ გიორგაძე ბუნებით უღალატო კაცი იყო. ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უსაუბრია და მის საქმიანობას დაჰკვირვებია, იცის, რომ სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა და ერთგულება მისთვის ხელოვნურად მორგებული ნიღაბი კი არ იყო ამ ნიღბების ეპოქაში, არამედ დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებული, ბუნებითა და გენეტიკური კოდით მომადლებული თვისებები იყო.

თოთხმეტი წელიწადია, რაც იგორ გიორგაძე დევნილია. სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა ხელისუფლებამ შევარდნაძის ყველა ნაბიჯი, ყველა ნათქვამი და ნააზრევი დაგმო. ერთადერთი, რაც შევარდნაძისგან მემკვიდრეობით მიიღეს და უცვლელად დატოვეს, ეს იგორ გიორგაძესთან მტრული დამოკიდებულება და მის წინაშე პათოლოგიური შიშია.



უკვე ასაკში შესული პანტელეიმონ გიორგაძე თოთხმეტი წელიწადი უძლებდა თავისი ოჯახისათვის ამ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მდგომარეობას. უძლებდა არა გულხელდაკრეფილი და პასიური, არამედ – მებრძოლი და აქტიური, საკუთარი პიროვნებისა და ოჯახის ღირსების დამცველი, სინდისნამუსიანი კაცი.

ებრძოდნენ უსინდისოდ, იგერიებდა პატიოსნად!

ექცეოდნენ მუხანათურად, იქცეოდა ვაჟკაცურად!

ავლენდნენ სულმდაბლობას, უპასუხებდა დიდსულოვნებით!

პანტელეიმონ გიორგაძე წონასწორობიდან გამოსული არავის არ უნახავს. არავის არ ახსოვს იგი დამარცხებული და გულგატეხილი.

ახლახან მოსკოვში მისთვის სამედიცინო შემოწმება ჩაუტარებიათ.

– მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოთხმოცდასამი წლის იყო, ყველა ორგანო ჯანმრთელი ჰქონდა. ასეთი იყო სამედიცინო დასკვნა, – გვიამბო პანტელეიმონ გიორგაძის მეუღლემ, ქალბატონმა ვალიამ.

2 მარტს, დილის 4 საათზე, პანტელეიმონ გიორგაძე მეუღლესთან ერთად თბილისში ჩამოფრინდა. 5 მარტს, სტალინის გარდაცვალების დღეს, გორში ჩასვლას გეგმავდა, რათა უმაღლესი მთავარსარდლისთვის, ვისი ხელმძღვანელობითაც ოთხი წელიწადი იომა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ტრადიციული პატივი მიეგო. მერე სამტრედიაში აპირებდა წასვლას, – აყვავილებულ ხეხილს მოვეფერები, ქართულ მიწას ხელს შევახებ და იმერული გაზაფხულის სურნელს შევიგრძნობო, – უთქვამს.

სახლში მისულს არ დაუძინია.

– რაღაცას წერდა, – კვლავ იხსენებს ქალბატონი ვალია, – პირველ საათზე თანაპარტიელებთან შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. ვიცოდი, რომ წასვლას არ დაიშლიდა და დაახლოებით თერთმეტ საათზე საუზმე შევთავაზე. მხოლოდ ჩაის დავლევო, მითხრა. ჩაი გავუმზადე და სამზარეულოში შემოვიპატიჟე. რამდენიმე ყლუპი მოსვა, მერე წამით გაირინდა, ერთი ამოიკვნესა და... – ქალბატონ ვალიას ცრემლები ახრჩობს. გაოცებულია და უკვირს, ასე უცებ, ასე მოულოდნელად როგორ დაამთავრა სიცოცხლე მრავალბრძოლაგადანახადმა და ჭირვარამგამოვლილმა, ცხოვრების მიერ გამობრძმედილმა გენერალმა.

განა მართლა მოულოდნელი და უცაბედი იყო ეს სიკვდილი?

ექიმებმა გადატანილი მძიმე განცდებისა და თოთხმეტწლიანი ჯოჯოხეთის რამე ხელშესახებ კვალს მის გულში, მართალია, ვერ მიაგნეს, მაგრამ ტანჯვა ადამიანის გულს კი არა, სულს ღრღნის. სულის გამოკვლევას კი, რამდენადაც ვიცით, ექიმები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ...

ამ უზნეო ეპოქაში, სადაც ორმოცი წლის ადამიანები უკვე ჩამოწერილი ჰყავთ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ოთხმოცდასამი წლის კაცის სიკვდილს ტრაგედიად ვინ ჩათვლის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ბატონი პანტელეიმონიც მსხვერპლია დემოკრატიასა და ე.წ. დასავლურ ღირებულებებს ამოფარებული იმ ბოროტებისა, რომელმაც ტერიტორიულად, ეკონომიკურად და მორალურად დაანგრია ჩვენი ბედკრული სამშობლო; რომელმაც ათეულ ათასობით ახალგაზრდა მიწაში ჩააწვინა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში გაჩაღებულ ბინძურ ომებში; რომელმაც ასეულ ათასობით ჩვენი მოქალაქე დევნილად აქცია საკუთარ სამშობლოში; რომელმაც მილიონობით ქართველი საზღვარგარეთის ქვეყნებში გადახვეწა ლუკმაპურის საძებნელად; რომელმაც... რომელმაც... რომელმაც... ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს!

ვეღარ მივა ბატონი პანტელეიმონი სტალინის ძეგლთან 5 მარტს!

ვეღარ მოეფერება აყვავილებულ ხეხილს მშობლიურ სამტრედიაში!

ვეღარ შეიგრძნობს იმერული გაზაფხულის სურნელს!

რაც მთავარია, ბატონი პანტელეიმონი საკუთარ მკერდზე ვერ შეიგრძნობს ერთადერთი ვაჟიშვილის ცრემლებს. ასეთია უსამართლობისა და უზნეობის ლოგიკა, მაგრამ მოხუც გენერალს ბრძოლა არ დაუმთავრებია. ეპოქალური ბოროტება სულს ლაფავს და აგონიაშია. სიცრუის რა ნიაღვარიც არ უნდა მოედინებოდეს პრესიდან, რადიოდან, ტელევიზიიდან, ჭეშმარიტება მაინც გაცხადდება და მოვა თაობა, რომელიც პატივს მიაგებს ყოველ ადამიანს, ვინც სამშობლოს, ჭეშმარიტებას და კაცობას იცავდა, განურჩევლად იმისა, თუ ვინ იყო იგი მსოფლმხედველობით, ეროვნებით ან სარწმუნოებით – კომუნისტი თუ დემოკრატი, მემარჯვენე თუ მემარცხენე, ქართველი თუ არაქართველი, ქრისტიანი თუ არაქრისტიანი...

და იმ ადამიანებს შორის, ვისაც მომავლის პატიოსანი და თავისუფალი თაობა პატივს მიაგებს, აუცილებლად იქნება საბჭოთა გენერალი პანტელეიმონ გიორგაძე...

**ვალერიან ადვაძე, გიორგი ბიჭაშვილი, კარლო გარდაფხაძე, ვახტანგ თენგიზის ძე გოგუაძე, ტრისტან დათუნაშვილი, ვალერი კვარაცხელია, ავთანდილ მარგიანი, თემურ ფიფია, დავით ქევხიშვილი**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: რა კანონიერი საფუძველი არსებობს დღეს საკლასო ჩინის მინიჭებისთვის, უფრო კონკრეტულად, რის მიხედვით და ვის მიერ ხდება აღნიშნული ჩინის მინიჭება?**

**ანგელინა მორგოშია**

**პასუხი:** საკლასო ჩინის მინიჭების საფუძველია „ საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 71-ე მუხლი ჩინის მინიჭება ან ჩამორთმევა ხდება მოხელის მიერ ატესტაციის გავლის შედეგის მიხედვით. საკლასო ჩინს ანიჭებს: – სახელმწიფო მრჩევლებს – საქართველოს პრეზიდენტი; – პირველი, მეორე და მესამე კლასის მრჩევლებს, საჯარო სამსახურის მრჩევლებს, საჯარო სამსახურის რეფერენტებს – შესაბამის თანამდებობაზე არჩევის (დანიშვნისძ უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირიძ.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, უნარჩუნდება თუ არა მოხელეს საკლასო ჩინი თანამდებობიდან გადადგომისას?**

**ელისო ბოცვაძე**

**პასუხი:** საჯარო მოხელეს თანამდებობიდან გადადგომისას უნარჩუნდება საკლასო ჩინი მითითებით – „გადამდგარი“.

* * *

**კითხვა: ჩემი მეუღლე არის ინვალიდი. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჩადენილი გადაცდომისთვის იგი ამჟამად ეჭვმიტანილად ითვლება, რომ გაამტყუნონ და პატიმრობა მიუსაჯონ, ის მცირე პენსია, რომელსაც იღებს, შეუნარჩუნდება მის ორ მცირეწლოვან შვილს?**

**ლოლიტა აბრამიშვილი** .

**პასუხი:** თქვენი მეუღლისთვის დანიშნული პენსიის გაცემა შეწყდება (თუ მას სასამართლო შეუფარდებს თავისუფლების აღკვეთასძ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. ბავშვებს მამის პატიმრობის პერიოდში პენსია არ მიეცემათ.

* * *

**კითხვა: ვარ 91 წლის. ვიღებ პენსიას 80 ლარის ოდენობით, ვცხოვრობ რაიონში. ომის პერიოდში ვმკურნალობდი დაჭრილებს ჩვენი სოფლის პოლიკლინიკაში, მაგრამ ამის საბუთი ან რაიმე სახის ჯილდო არ გამაჩნია. ისე კოლმეურნეობის აქტიური წევრი ვიყავი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვითვლები თუ არა ომის მონაწილეებთან გათანაბრებულად, რომ ცოტა მეტი პენსია მივიღო?**

**ლევარსი ბოლქვაძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, ომის მონაწილეებთან თქვენი გათანაბრებისა და პენსიის გაზრდისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

* * *

**კითხვა: 3 თვის წინათ გარდამეცვალა მამა. მინდა გადავიფორმო მისი კუთვნილი ბინა და სხვა ქონება. ვარ ერთადერთი მემკვიდრე. თუ შეიძლება განმიმარტოთ, ვის მივმართო ქონების გასაფორმებლად?**

**ლედი რურუა**

**პასუხი:** სამკვიდრო ქონების გაფორმების თაობაზე, გირჩევთ დაუყონებლივ, მაგრამ მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 6 თვისა, მიმართოთ ნოტარიუსს სამკვიდროს ადგილმდებარეობის მიხედვით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

საქმე №2/606 – 2008

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

12 თებერვალი 2009 წელი ქ. ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი
სხდომის მდივანი კობა მოდებაძე
მოსარჩელე – ვაჟა ლექვინაძე.
წარმომადგენელი – ლეილა ფხაკაძე
მოპასუხე – მარინე კვერნაძე.
თეიმურაზ ქომეთიანი
დავის საგანი – დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### გამოარკვია:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა ვაჟა ლექვინაძემ მარინე კვერნაძის და თეიმურაზ ქომეთიანის მიმართ და მოითხოვა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის 61 416 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ანაზღაურება.

მოსარჩელემ მოპასუხეების საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი ბუაჩიძის ქ. №11 და ქ. ქუთაისი დემეტრე თავდადებულის ქ. №5.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ „თეიმურაზ ქომეთიანი და მარინე კვერნაძე გადასული არიან სხვა მისამართზე საცხოვრებლად“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხეებისათვის მარინე კვერნაძისათვის და თეიმურაზ ქომეთიანისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

### დაადგინა:

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯარო გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.
2. ეცნობოს მოპასუხეებს მარინე კვერნაძეს და თეიმურაზ ქომეთიანს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებაშია მიღებული ვაჟა ლექვინაძის სარჩელი მარინე კვერნაძის და თეიმურაზ ქომეთიანის მიმართ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის 61 416 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ანაზღაურების თაობაზე.
3. ეცნობოს მოპასუხეებს, რომ ვაჟა ლექვინაძის სარჩელისა გამო მარინე კვერნაძის, თეიმურაზ ქომეთიანის მიმართ – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის 61 416 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2009 წლის 11 მარტს 12 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11ძ.
4. ეცნობოს მოპასუხეებს მარინე კვერნაძეს და თეიმურაზ ქომეთიანს, რომ, თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუკი მოსარჩელე იშუამდგომლებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.
5. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი

## განცხადება

სს „რეჰაუ+კოს“ დირექტორებმა დოქტორ ჰაინრიხ მიხელმა და ტორსტენ შლუსტერმა მიიღეს გადაწყვეტილება სს „რეჰაუ+კოს“ საქართველოს წარმომადგენლობის ლიკვიდაციის შესახებ.

გთხოვთ კრედიტორებმა მომმართოთ ლიკვიდატორს დავით კილურაძეს წარმომადგენლობის ოფისში მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154.

იყიდება სს „ნოვა ტექნოლოჯის“ აქციათა პაკეტის 49 პროცენტი.
აქციათა მფლობელი: ზაურ გაბაიძე
მის: თბილისი, ონიაშვილის ქ. 54. 877 472008.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

გახსენება

# გალინა სადუნაშვილი

მიმდინარე წლის 5 მარტს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა აფხაზეთიდან დევნილ, სახელმოხვეჭილ ექიმს, ქალბატონ გალინა სადუნაშვილს.

იგი დაიბადა 1909 წლის 5 მარტს დაბა საჩხერეში. იქვე მიიღო საშუალო განათლება, რის შემდეგ 1936 წელს წარჩინებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტს. შრომით საქმიანობას იწყებს თბილისის სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგიის ორდინატორის თანამდებობაზე პროფ. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით.



1939 წელს ქალბატონი გალინა სამუშაოდ გაგზავნილი იქნა ქ. სოხუმში, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეან-გინეკოლოგი და მუშაობას იწყებს ქალაქის სამშობიარო სახლში.

სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე, აფხაზეთის ჯანმრთელობის მინისტრის ბრძანებით იგი გადაყვანილი იქნა სოხუმის სისხლის გადასხმის სადგურის მთავარ ექიმად. აქ ქალბატონმა გალინამ გამოიჩინა თავი, როგორც საქმის კარგმა ორგანიზატორმა. ომის პერიოდში (1941-1945 წ.წ.) სოხუმის სისხლის გადასხმის სადგური გალინა სადუნაშვილის ხელმძღვანელობით, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, სისხლის საჭირო რაოდენობით ამარაგებდა აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში განთავსებულ სამხედრო ჰოსპიტალებსა და სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებებს. ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც თვითონ გაუღია სისხლი მრავალ დაჭრილ და ავადმყოფ წითელ არმიელზე გადასასხმელად.

ომის დამთავრების შემდეგ ის ისევ უბრუნდება თავის ძირითად სპეციალობას და აგრძელებს მუშაობას სოხუმის სამშობიარო სახლში. პენსიაზე გადის 1991 წლიდან. გარდაიცვალა 90 წლის ასაკში 1999 წელს. დასაფლავებულია თბილისში.

ქალბატონმა გალინამ 55 წელი ემსახურა ქალების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. აქედან ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იმუშავა აფხაზეთში. მან უმკურნალა ათასობით პაციენტს. უმართავს ათასამდე სამშობიარო პროცესი ისე, რომ არ ჰქონია დედის ან ახალშობილის სიკვდილის შემთხვევა.

ყველგან, სადაც უმუშავნია გალინა ექიმს, იგი სარგებლობდა დიდი სიყვარულით, პატივისცემით და ავტორიტეტით. დაჯილდოებული იყო მთავრობის მრავალი ჯილდოთი, მიენიჭა აფხაზეთის ა/რ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

ქალბატონ გალინას დარჩა ერთადერთი ქალიშვილი – ნატალია რუსაკოვა-გოგოხია, რომელსაც დედის სპეციალობა აქვს მიღებული. არის უმაღლესი კვალიფიკაციის მეან-გინეკოლოგი და მუშაობს თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში. გალინას შვილიშვილმა, ასევე აირჩია ბებიას პროფესია, არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და მუშაობს მეან-გინეკოლოგის სპეციალობით. მეორე შვილიშვილს დამიანე (უმცროსი) გოგოხიას უმაღლესი დიპლომატიური განათლება აქვს მიღებული.

ცხოვრება გრძელდება, ქალბატონ გალინას სახელოვანი მოდგმა მტკიცედ იცავს დედისა და ბებიის სახელოვან ტრადიციებს.

ქალბატონ გალინას ხსოვნა მისი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში მუდამ ცოცხალი იქნება.

უფალმა მარადიულ სასუფეველში და ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული.

კოლეგებისგან.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ 23 წლის, ერთი წლის წინ მუშაობა დავიწყე ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. 2 თვეა შევქმენი ოჯახი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენდღიანი ანაზრაურებადი შვებულება მეკუთვნის?**

**ოთარ გიორგაძე**

**პასუხი:** ანაზღაურებადი შვებულება გეკუთვნის 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით. გარდა ამისა, კანონის თანახმად, უფლება გაქვთ, ისარგებლოთ უხელფასო შვებულებით არანაკლებ 15 კალენდრული დღისა, რის შესახებ 2 კვირით ადრე უნდა მიმართოთ თქვენი დაწესებულების ადმინისტრაციას.



* * *

**კითხვა: ვარ მე-2 მსოფლიო ომის I ჯგუფის ინვალიდი. მალე 90 წლის შევსრულდები. მივეკუთვნები რიგითთა შემადგენლობას, სამხედრო წოდება არ გამაჩნია. გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის დანამატი 30 წლის სტაჟისთვის?**

**ირაკლი ცეცხლაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, არც ერთი სახის ინვალიდობის პენსიაზე, სტაჟის ხანგრძლივობისთვის დანამატის დარიცხვა, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

შვილები კახა და ნოდარ ხოშტარიები, რძლები ელენე, გალინა, შვილიშვილები თამარ, ეთერ, ალეკო, გიორგი, დისწულები ირინე და ნანა ტატიშვილები ოჯახებით იუწყებიან

ეთერ მიხეილის ასულ მამფორია-ხოშტარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6 III, 16 სთ. გამოსვენება 7 III, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 67, მე-3 სადარბაზო, ბინა 61.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გადაცემათა სისტემების მართვის ცენტრის უფროსის კახა ხოშტარიას დედის

ეთერ მიხეილის ასულ მამფორია-ხოშტარიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ ბატონ ვიქტორ ჯაფიაშვილის მეუღლის, ობსერვატორიის სამეცნიერო ფოტოგრაფიისა და ელექტროგრაფიის განყოფილების გამგის

დარეჯან ჭიპაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს და ახლობლებს.

---

გოდერძი ბუკია ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ლეილა გრძელიძეს ძმის

ელდარ გრძელიძის

გარდაცვალების გამო

---

ზურაბ ერქვანია ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ლეილა გრძელიძეს ძმის

ელდარ გრძელიძის

გარდაცვალების გამო.

---

ოლიკო და მარინა მიქაძეები თანაუგრძნობენ ლეილა, ქეთინო და მზია გრძელიძეებს ძმის

ელდარ გრძელიძის

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ შონია და ალიოშა ტაბაღუა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალათ მამიდაშვილი, ფოთის ღირსეული მოქალაქე

არჩილ ივანეს ძე ფაჩულია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ლაშა კაკაურიძეს დედის

გუგული ჭუმბურიძის

გარდაცვალების გამო.

ჯანმრთელობა

# უჩვენე ენა ტკივილებს

## დიაგნოზს დავსვამთ ზერელედ ჩახედვითაც

ექიმები ხშირად გვაფრთხილებენ: ავადმყოფობა შეიძლება არანაირად არ გამოვლინდეს – და უცებ ადამიანი მოულოდნელად უძლური აღმოჩნდება ხოლმე. სინამდვილეში ორგანიზმი ყოველთვის გვაფრთხილებს იმის შესახებ, რომ ეს პრობლემაა. ჯანმრთელობის ან ავადმყოფობის საუცხოო ინდიკატორი ენაა.



### ენის ფერი

**მკრთალ-ვარდისფერი.** ჯანსაღი ენის ფერია.

**მკრთალი.** ეს ამბობს არასაკმარის კვებაზე, ავიტამინოზზე, ქრონიკულ დაავადებაზე, ანემიაზე.

**მოწითალო.** ინფექციური, ანთებითი დაავადებანი.

**ძალიან წითელი.** გულის სისტემის მუშაობის დარღვევანი, სისხლის დაავადებანი.

**ყვითელი.** პრობლემები კუჭნაწლავთა ტრაქტთან, სიყვითლე. ხშირად ეს ემართებათ მწეველებსაც.

**ცისფერი ან იისფერი.** ფილტვების, გულის დაავადებანი.

**ლურჯი ფერი.** შეიძლება იყოს სიგნალი თირკმელების დაავადების შესახებ.

**თეთრი.** გაუწყლოვნება, საცოფური ინფექცია, გრიპი ან გაცივება.

**ნაცრისფერი.** საკვების გადასამუშავებელი ტრაქტის დაავადებანი.

### ნადების ფერი

ის შეიძლება განსხვავდებოდეს თავად ენისგან. რაც უფრო სქელია ნადები, მით სერიოზულია პრობლემა. ნორმაში დასაშვებია თხელი თეთრი ნადები, რომელიც ადვილად შეიძლება მოვიშოროთ კბილის ჯაგრისით ან სხვა ჯაგრისებით ენის საწმენდად.

**თეთრი, სქელი ნადები.** ინტოქსიკაცია, ინფექციური დაავადება.

**ყავისფერი.** ფილტვების დაავადება.

**ყვითელი.** კვების გადამმუშავებელი ორგანოების მუშაობის დარღვევა.

**ნაცრისფერი.** გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება.

**ნამეტანი ბრტყელი (პოლირებული) ენა.** ფოლიური სიმჟავის, რიბოფლავინის უკმარისობა.

### ფორმა

**შებერილი ენა ან გვერდებში შეღუნული მხარეები.** პრობლემები ღვიძლთან, კვების გადამმუშავებელ სისტემასთან.

**თხელი ენა.** პრობლემები ნივთიერებათა ცვლასთან, სისხლძარღვებთან დაკავშირებით.

**გრძელი ენა (ხშირად წითელი) ან გადიდებული ბოლო.** შეიძლება, წესრიგში არ იყოს გული.

**არათანაბარი გასწვრივი ზოლი შუაში.** პრობლემები ხერხემალთან დაკავშირებით.



**გაზრდილია (შესივებული) გვერდებში.** პრობლემები კუჭთან, ნაწლავებთან.

**ამობურთულობა ცენტრსა და ნაპირებს შორის.** ფილტვების დაავადება.

**რელიეფი შეცვლილია ადგილ-ადგილ.** არ არის საკმარისი B ვიტამინის ჯგუფი.

### ნაღარები

| | |
|---|---|
| ენაზე ღრმა ნაღარებია (ხშირად ვერტიკალური, ცენტრიდან წვერამდე). | დარღვეულია გულის მუშაობა |
| ნაღარები მთელ ენაზე. | პრობლემები კუჭთან, საჭმლის გადამმუშავებელ სისტემასთან დაკავშირებით |
| ძალიან ღრმა ნაღარები. | წესრიგში არაა თირკმელები |
| ვერტიკალური ნაღარები ენის გვერდებზე. | შეამოწმეთ კვების გადამუშავების ტრაქტი |

### თითოეულ ორგანოს თავისი ადგილი აქვს

**ჩინური მედიცინის კანონების შესაბამისად, ენის თითოეული ზონა შეესაბამება საკუთარ შინაგან ორგანოს:**

ბოლო – გული

ცენტრი – ელენთა

გვერდითი მხარეები – ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი

უკანა ნაწილი – თირკმელები

ზონა ენის წვერის წინ – ფილტვები

ენის ძირი – ნაწლავები



### როგორ დავათვალიეროთ ენა

დღის სინათლეზე, უფრო უკეთესია – დილით, მანამდე, ვიდრე კბილებს გავისუფთავებთ. საჭიროა გავაღოთ პირი, გამოვყოთ ენა, მაგრამ არ დავძაბოთ იგი, ვინაიდან ამან შეიძლება შეცვალოს მისი ფორმა და ფერი.

საკვებს, სასმელს, მედიკამენტებს, მოწევას შეუძლიათ შეცვალონ ნაღარის ფერი – უნდა გავიდეს სულ ცოტა ერთი საათი მას შემდეგ, ვიდრე ისინი იმოქმედებენ ენაზე.

მხედველობაში გქონდეთ, რომ ენა ზიანდება პირის ღრუს დაავადების დროს, მისი ტრავმის დროს, სამკურნალო საშუალებების ალერგიული რეაქციებისა და ა.შ. შედეგად.

**და რაც მთავარია: არ დაინიშნოთ თვითმკურნალობა. ეს ექიმმა უნდა გააკეთოს.**

რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

ჩვენი საზოგადოების განვითარების სტადიები: ფეოდალიზმი – კაპიტალიზმი – სოციალიზმი – იდიოტიზმი...

* * *

– რატომ აქვს თემიდას თვალები ახვეული?



– იმიტომ, რომ არ დაინახოს, თუ როგორ აუპატიურებენ მას...

* * *

მსახიობობა – ეს ერთადერთი პროფესიაა, რომლის წარმომადგენელსაც, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებულს, კლიენტები აპლოდისმენტებით ხვდებიან.

* * *

„გიყვარდეს მოყვასი შენი“, – გვასწავლის ბიბლია, კამასუტრა კი გვიხსნის, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს კონკრეტულად...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.